რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 1 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება

გაზეთი ღირს: თვიურათ 2 მან. 60 კაპ., თითო ნომერი 12 კაპ. კანტორა „განათლების" აგენტებს დაეთმობა 9 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება [illegible] სახაზამდე 5 მანეთი [illegible] შემდეგ—6 მანეთი; ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს [illegible] ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ფულის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 111 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 111

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი, მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ მერაბის ძენი კილასონიები, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგოვაძისა, ნინა არჩილის ასული კილასონიასი და შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს პირველი უსაყვარლესი შვილის, მეორენი და მესამე ძმის, მეოთხე მაზლის და მეხუთე ცოლისძმის სამხედრო ექიმის

ანდრო მერაბის ძე კილასონიას

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 11 ივლისს, ქ. კიევში.

ცხედარს ჩამოასვენებენ ქუთაისში, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულ-დათუთქულნი: ძმა დომენტი, რძალი ვარდო და ძმისწული გიორგი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავ-მეგობრებს და ამხანაგებს ძვირფასს და დაუვიწყარ

ევგენი მიხეილის ძე თალაკვაძის

უდროვოთ გარდაცვალებას.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

ერთი თვით 2 მ. ნ. 60 კაპ., ცალკე ნომერი 12 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება"-ში, ოლღას ქუჩა, № 6.

დღეს, 1 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე სასახლეში დანიშნულია მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოს

მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.

პრეზიდიუმი.

ამიერ-კავკასიის მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოთა ცენტრი

მოთავსებულია სასახლეში

(სპარსული დარბაზი)

პრეზიდიუმის წევრები იღებენ მთხოვნელებს დღ. 12—2 საათ. ცენტრის სხდომა იმართება ყოველ კვირაში, ოთხშაბათობით დღის 1—საათ. კანცელიარია ღიაა დილ. 9—2 საათ. და საღ. 7—8 საათ. წევრი მდივანი იღებს მთხოვნელებს როცა კანცელიარია ღიაა.

ამხანაგებო ლითონზე მომუშავენო!

ოთხშაბათს, 2 აგვისტ. საღ. 7 საათზე, სახალხო სახლში შესდგება ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის

საერთო კრება

დღის წესრიგი: 1) მინიმალური დღიური ქირის საკითხის განხილვა. 2) მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს წევრთა არჩევნები, 3) რაიონის დელეგატთა დამტკიცება, 4) მიმდინარე კითხვები.

რადგანაც კითხვები საჩქაროთ გადასაწყვეტი და გადაუდებელია, ამიტომ ვსთხოვთ ამხანაგებს უსათუოდ დაესწრან კრებას და ნუ დაიგვიანებენ.

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და მათ-შანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი

ექიმ ბ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი, პუშკინის ქუჩა, ვიტიშინსკი სახლში.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 6—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები

გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს

ხაშა ჩიგოგიძეს.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, [illegible] სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—7 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9-დან საღ. 9 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (დოდის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუ. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის [illegible]. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა [illegible] ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში). კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

პლუტოკრატიის განკითხვის დღე.

საარაკო სურათს წარმოადგენდა კვირას, 30 ივლისს თფილისი. მთელი ქალაქი ფურცლებით, პლაკატით და დროშებით მოფენილია. ყველა დემოკრატიულ სამოსელში გამოკაზმულია და ხალხს მისი ინტერესების დაცვას პირდება.

თვით საბრალდებლო სკამზე წამოსკუპებული პლუტოკრატიაც კი ხალხს ბედნიერებას და თავისუფლების განტკიცებას უქადდა. აშკარაა, მან ნიღაბი სრულებით დაკარგა და ამიტომაც ნიღაბს იფარებს და ამ გზით ცდილობს გულუბრყვილოთა თვალის ახვევას. შოვინისტური პარტიებიც კი დაშნაკცუთიუნის მეთაურობით ერთი სოლიდარობას ემდუქებიან, ვინაიდან მათ კარგათ იციან, რომ მრავალტომიან ქალაქში ერთი სიძულვილისა და შუღლის დროშით აშკარათ გამოსვლა სახიფათოა. სამწუხაროთ ფარისეულათ შოვინისტები არავითარ საზიზღარ საშუალებას არ ერიდებოდა სოციალდემოკრატიის ძალა-ღონის დასუსტებას და მის დასამარცხებლათ. კერძოთ დაშნაკცუთიუნის მეთაურებმა ჩვენ პარტიას ქართველი უწოდეს, რომ სომხის მშრომელი მასა ჩამოაშორონ და თავიანთ დუქანში მიიყვანონ. დაშნაკცუთიუნის დაბალი ხარისხის დემაგოგები მშრომელ ხალხს ქართველთა გამარჯვებით აფრთხობდნენ, თუ სოციალდემოკრატიამ გაიმარჯვა, სომხებს თფილისიდან გარეკავენ გვეუბნებიანო.

ყველასათვის ცხადია, რომ არჩევნებში ორი უმთავრესი ძალა იბრძოდა. ერთია დემოკრატია ჩვენი პარტიის მეთაურობით, ხოლო მეორე პლუტოკრატია დაშნაკცუთიუნის მიერ ზურგ-გამაგრებული. უკანასკნელის გამარჯვება ძველი საბჭოს [illegible] და ამიტომაც იყო [illegible] დემოკრატიის [illegible], თუ საქმეში არ მივიღებთ სომხის მუშათა ერთ ნაწილს, რომელიც სამწუხაროთ ჯერ კიდევ დაშნაკცუთიუნის პარტიას მიჰყვება და შოვინისტურ ქსელში იხლართება.

პლუტოკრატია ქონებრივათ უზრუნველყოფილია. ამიტომაც იყო დაშნაკცუთიუნის პარტიამ, გაზეთ „პაიქარ"-ის ცნობით, 50 ათასი მანეთი მიიღო დემოკრატიის წინააღმდეგ სამოქმედოთ, და ეს დიდძალი თანხა თავისებურათ გამოიყენა. დემოკრატია შესაფერ თანხას რასაკვირველია მოკლებულია, მაგრამ ის ძლიერია ხალხის თანაგრძნობით და მის მიერ ზურგგამაგრებით.

დემოკრატიის მოწინააღმდეგენი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ მის დასამარცხებლათ და ქალაქის თვითმართველობის კვლავ დასაპატრონებლათ. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სოციალ დემოკრატიის ბრძოლა ახლა ძალასა და გავლენას შესძენს ისე, რომ ჩვენი ფრაქციის საბჭოში გვერდის ახვევა შეუძლებელი გახდება.

კონტრ-რევოლუციონერები ამოძრავდენ.

რევოლუციის გაღრმავებამ კონტრ-რევოლუციონური ძალები აამოძრავა. ბურჟუაზიის იდეოლოგებმა და მათ ამყოლ ბნელმა ძალებმა ლეგიონი აიხსნეს, ახლა საზოგადოებრივ დაწესებულებაში თუ არჩევნებში გაბედულათ გამოდიან, რევოლუციონურ კლასებს და რევოლუციონურ ორგანოებს მედგარ ბრძოლას უწევენ.

კადეტთა პარტია იმით არ კმაყოფილდება, რომ იგი დროებითი რევოლუციონური მთავრობიდან რამდენჯერმე გაიქცა, რამდენჯერმე რევოლუციონურ კლასს ზურგიდან მოექცა და რევოლუციის წინააღმდეგ შეთქმულებაში მიიწყო. ახლა იგი თავის შეთქმულებას აშკარა ხასიათს აძლევს, მან სამ ივლისის კანონის მიერ შემდგარ სახელმწიფო დუმის ინსტიტუტში მოიკალათა და რევოლუციონურ ორგანოების წინააღმდეგ საზიზღარ აგიტაციას ეწევა.

ამ შემთხვევაში რუსეთის კადეტები ბრძოლის იარაღებით, ბრძოლის საშუალებებით პირწმინდათ ემსგავსებიან საფრანგეთის 1871 რევოლუციის დამმარცხებლებს. მათ შეუთვისებიათ ცნობილ კონტრ-რევოლუციონერ ტიერის ბრძოლის მეთოდები და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინააღმდეგ ისევე ილაშქრებენ, როგორათაც ტიერი საფრანგეთის კომუნისტების წინააღმდეგ იბრძოდა.

ტიერი კომუნარებს, კომუნის საუკეთესო მებრძოლთ გაიძვერებს, ქურდ-ბაცაცებს, გათახსირებულ ავაზაკებს უწოდებდა.

ასევე მოიქცა რუსეთის ბურჟუაზია სახელმწიფო დუმის ერთ-ერთ საგანგებო სხდომაზე, სადაც მათ მასლიანკოვის პირით მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წევრებს გაიძვერა და ავაზაკები უწოდეს და ეს ამბავი მთელს რუსეთს მოედინეს.

რუსეთის ბურჟუაზიას რევოლუციონურმა კლასებმა ისეთივე წითელი საფრთხე დაუყენეს, როგორიც კომუნამ საფრანგეთის ბურჟუაზიას 1871 წელს დაუყენა. როგორც იყო იმ დროის გაბატონებული კლასები ტიერის მეთაურობით კომუნის წინააღმდეგ უმხეცესათ ილაშქრებდნენ და ბოლოს შინაური და გარეშე მტრების დახმარებით რევოლუცია დაამარცხეს და მთელი საფრანგეთის, განსაკუთრებით კი პარიზის პროლეტარიატი სისხლის მორევში ჩაახრჩვეს და მით მთელ ევროპას წითელი საფრთხე თავიდან ააცილეს. ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი კომუნარებს სამშობლოს მოღალატეობას სწამებდა, გლეხკაცობას მათ წინააღმდეგ ამხედრებდა, მაშინ, როცა თვით ტიერი გერმანიის კანცლერ ბისმარკთან, პარიზზე მომდგარ გერმანიის ჯართან მოლაპარაკებას მართავდა და მათ კომუნის წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა. ტიერმა ბისმარკის დახმარებით მოახერხა სამხედრო ტყვეების დაბრუნება და ამ ტყვეების რევოლუციონერების წინააღმდეგ გალაშქრება.

ერთი სიტყვით რუსეთის ბურჟუაზია ტიერის გზით მიდის, რუსეთის რევოლუციონურ ორგანოების წინააღმდეგ შინაურ ბნელ ძალებს მობილიზაციას უწყობს და მით რევოლუციის დასამარხვა მიზნად დაუსახავს.

მაგრამ აწმყო ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მეტად განსხვავდება საფრანგეთის 1871 წლის საერთო მდგომარეობიდან. ეხლა რუსეთისა და საზოგადოთ საერთაშორისო დემოკრატიის შედარებით უკეთეს პირობებში უხდება მოქმედება. რუსეთის რევოლუციონური კლასები კლასობრივათ მეტათ შეგნებულნი და ორგანიზაციულათ მეტათ მომწყობილნი არიან. გარდა ამისა მას გვერდში უდგას ევროპის უფრო მეტათ გათვითცნობიერებული და შეგნებული პროლეტარიატი, რომელიც საერთაშორისო კონტრ-რევოლუციონურ და იმპერიალისტურ კლასებს საშუალებას არ მისცემს რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ იმავე სახით გაილაშქრონ, რა სახითაც 1871 წელს ევროპის ბურჟუაზიამ „წითელი საფრთხის" კომუნის წინააღმდეგ გალაშქრა და იგი ხუთი თვის მედგარ ბრძოლის შემდეგ ბარბაროსულად ჩაახშეს.

რუსეთის რევოლუციონურ კლასების თავგანწირულ ბრძოლას მედგრათ ეხმაურება ევროპის პროლეტარიატი და პირველის გამარჯვებაში დაინტერესებულია მეორე. ერთიც და მეორეც, რაც დრო გადის ერთმანეთს უახლოვდებიან, საერთო მტრის წინააღმდეგ ირაზმებიან და რუსეთის რევოლუციის გაღრმავებას შეერთებული ძალით ემსახურებიან. ასეთ პირობებში რუსეთის კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზიის მოქმედება ნაყოფს ვერ გამოიღებს, მიზანს ვერ მიაღწევს.

მიუხედავათ ამისა, რევოლუციონური კლასები განსაკუთრებით მისი საუკეთესო ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული პარტია ორგანიზაციულად უნდა გაერთიანდეს, სხვადასხვა მიმდინარეობა ერთი მიზნით უნდა აღიჭურვოს და საერთო მოქმედებით დაამხოს ბურჟუაზიის კონტრ-რევოლუციონური საქმიანობა. ძალა გაერთიანებაშია, ხოლო სისუსტე დანაწილებაში.

„სპარტაკუსი"

(გერმანიის ს. დემოკრატიის მარცხენა ფრთის ჟურნალი).

საერთაშორისო განყოფილებამ პეტროგრადში მიიღო არალეგალური ჟურნალი „სპარტაკუსი", რომელიც გამოდის გერმანიაში, ჟურნალი ეკუთვნის გერმანიის ს.-დემოკრატიის მარცხენა ფრთას.

ამ ჟურნალში ყველაზე მეტათ საინტერესოა მოწინავე წერილი ამ სათაურით: „რუსეთის დიდებული რევოლუცია". ამ წერილში აღფრთოვანებით სალამს უძღვნიან რუსეთის რევოლუციას, როგორც მთელი ქვეყნიერების იმედს. ყველანი, თითქმის გერმანიის მილიტარისტებიც კი, ელიან, რომ [illegible] რუსეთის რევოლუცია მოუღებს ბოლოს ამ საშინელ ომს. მაგრამ, რადგან ის მსოფლიო პრობლემის წინაშე სდგას, მას არ შეუძლია საკუთარი ძალ-ღონით გადასწყვიტოს ეს საკითხი. რუსეთის მუშების ერთადერთი სურვილი—ომს ბოლო მოუღონ და ზავი ჩამოაგდონ, ამისთვის იგინი არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებენ, მაგრამ ნათელი ის არის, რომ ამ მხრით მათ უთანხმოება მოსდით არა თუ მარტო თავის ქვეყნის ბურჟუაზიასთან, არამედ მოკავშირე სახელმწიფოების ბურჟუაზიასთანაც, რაც უფრო დასაფიქრებელია. მოკავშირე სახელმწიფოთა ბურჟუაზია უკმაყოფილოთ უცქერის რუსეთის რევოლუციის მიმდინარეობას და მის ზურგს უკან მტკიცე კავშირს აწყობს. როცა რუსეთის რევოლუცია თანდათანობითი განვითარებით ომის იმპერიალ. მიზნებთან ბრძოლაში ებმება, ბურჟუაზია დაირაზმა პირისპირ დაუდგა მას, ყოველ ღონეს ხმარობს მის ასალაგმავათ. ამავე დროს არ სძინავს მოკავშირეთა სახელმწიფოების ბურჟუაზიას, ის ცდილობს რუსეთის რევოლუცია თავის სასარგებლოთ გამოიყენოს, ცდილობს ის ინტერნაციონალურ იმპერიალიზმის ბრმა იარაღათ გაიხადოს, რომ ომი გერმანიაზე სრული გამარჯვებით დააგვირგვინოს. ამიტომ მოკავშირე სახელმწიფოთა სოციალისტურ პროლეტარიატის ვალია აფრიალოს ომისა და გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ აჯანყების დროშა, თუ არ უნდათ, რომ ულალატონ რუსეთის რევოლუციონურ პროლეტარიატს, თუ არ უნდათ ის სისხლიდან დაიცალოს და უსწორო ბრძოლაში სული დალიოს.

რა გზას ადგია ნემეცთა ბურჟუაზია? ის ცდილობს გამოიყენოს რუსეთის რევოლუციის ჭკუდურესი ლოზუნგები. ნემეც მილიტარისტებს გულით უნდათ ომს ბოლო მოეღოს, რომ ყოველმხრივ წელი მოიმაგროს და ახალი ომის სამზადისს შეუდგეს. ამაში მას ხელი უნდა შეუწყოს რუსეთის რევოლუციამ, ომის ჩქარა გათავების მისმა მისწრაფებამ. საკვირველი აქ არაფერია. ნემეცთა სოციალდემოკრატია ბევრს ცდილობდა, რომ გერმანიაში ამ ომს რუსეთის მეფის მთავრობისაგან „განმათავისუფლებელ" ომის ხასიათი მიეღო, ეხლა კი რუსეთის რევოლუცია დაეხმაროს „განმათავისუფლებლებს" და გამოიყვანოს ცუდი მდგომარეობიდან. ნემეც მუშებმა შეინახეს ომი, როცა ის იმპერიალიზმისთვის საჭირო იყო, დეე ეხლა რუსეთის მუშებმა მოახდინონ ზავი, როცა ის მას საჭიროთ დაინახავს.

მაგრამ რუსეთის რევოლუციამ უკვე ნიღაბი ჩამოგლიჯა მოკავშირე სახელმწიფოთა ბურჟუაზიას, რომელმაც გერმანიასთან ომი ხალხთა განთავისუფლების და მათი უფლებების აღდგენის ომათ გამოაცხადა და ნემეც მილიტარისტებს—როგორც რუსეთის ნიკოლოზ II-ეს დესპოტიზმისგან „განმთავისუფლებლებს".

ზავის საკითხი ფრიად მნიშვნელოვანი და რთული საკითხია. რუსეთის პროლეტარიატს მხოლოდ მაშინ შეუძლია ომის გათავება და ზავის ჩამოგდება, როცა რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლება და შემდეგი მისი განვითარება უზრუნველყოფილი იქნება. რუსეთის რევოლუციისთვის საშიში მეზობელია ნახევრათ აბსოლუტური გერმანია. საერთაშორისო ომმა გერმანიაში ისეთი რეაქცია გამოიწვია, ისე გაძლიერდა მილიტარიზმი, რომ რუსეთის რევოლუციის მომავლისთვის ის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ვინ გვაძლევს იმის პირობას, რომ ხვალ ზავის ჩამოგდების შემდეგ გერმანია არ ეცემა რუსეთის რევოლუციას, თავს არ დაესხმის რუსეთის პროლეტარიატს? რუსეთის პროლეტარიატი ვერ იქნებოდა კარგი პოლიტიკოსი, რომ ვერ გაეთვალისწინებია შემდეგი გარემოება: ნებას მისცემდნენ თუ არა ნემეცი ჯარისკაცები, რომლებიც ეხლა იმპერიალიზმის ზეგავლენით [illegible] მიდიან დასახოცათ, რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ გაეგზავნათ? ამ შესაძლებლობის წინააღმდეგ არის ერთი საშუალება—ნემეც პროლეტარიატის გაღვიძება, ნემეც ხალხის ზავისადმი რევოლუციონური მისწრაფება. ყველა ქვეყნის პროლეტარიატმა არ უნდა ქნას, რომ რუსეთის რევოლუცია მარტო იბრძოლოს მსოფლიო იმპერიალიზმს, ის ამას ვერ გაუძლებს.

მთელი ქვეყნიერობის ხალხთა წინაშე ერთი საკითხი დგას: ან მსოფლიო ომი საერთო დაუძლურებამდე, ან საერთო რევოლუცია. მესამე გზა არ არის. დასასრულ წერილი მოუწოდებს რევოლუციისაკენ.

მთელი ეს ნომერი განსაკუთრებით რუსეთის რევოლუციას ეძღვნება.

მასში დაბეჭდილია მოწოდება მთელი ქვეყნის ერთადმი და სხვადასხვა გვარი მოწოდებები ჯარებისა და მუშებისადმი.

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე სამხრეთის ფრონტზე მტრის იერიშების მოტანამ მკაცრი ხასიათი დაკარგა. მან მხოლოდ გუსიატინის რაიონში კვლავ საარტილერიო ბრძოლა განაცხოველა. დანარჩენ ფრონტზე დრო-გამოშვებითი სროლაა. სამაგიეროთ ავსტრია გერმანიის ჯარი რუმინიის ფრონტზე მედგარი იერიშების მიტანას აწარმოებს. რუმინიის ჯარს ოკნასა და ფოკშანის მიმართულებით უკან ახევიებს.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა კვლავ უცვლელია.

საფრანგეთის ფრონტზე ფრანგების ჯარმა სენკანტენის ჩრდილოეთით შეუტია და მტრის სანგრები დაიკავა. საზოგადოთ აქ და ავსტრია-იტალიის ფრონტზე ღირს-შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

გაზეთის გაძვირების გამო.

ჩვენ იძულებული ვართ გაზეთის ფასი ისევ ავწიოთ. ყოვლად შეუძლებელი ხდება ამ პირობებში ხარჯების დაფარვა. უკანასკნელ დროს განსაკუთრებით ქაღალდი გაძვირდა. ამას სხვათა შორის ხელი შეუწყო ფინლიანდიაში რუსული მანეთის კურსის დაცემამ. თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყოველგან ქაღალდის ნაკლებობაა, თქვენთვის აშკარა იქნება რედაქციის მეტად საძნელო მდგომარეობა. ამავე დროს სხვა სასტამბო ხარჯებიც ერთი-ორათ გაძვირდა. დაწვრილებით ცნობებს ამის შესახებ ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ.

დღეიდან ცალი გაზეთი ყველგან 12 კაპ. გაიყიდება, ხოლო თვიურათ 2 მ. 60 კაპეკათ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მკითხველები შეურიგდებიან ამ აუცილებელ გარემოებას და ყოველი ძალღონით შეეცდებიან თავისი გაზეთის გავრცელებისა და ნივთიერი უზრუნველყოფის საქმეს.

რედაქცია.

კოლექტიური ხელშეკრულება.

ამ ჟამათ მუშებსა და მწარმოებლებს შორის ბაქოში მოლაპარაკებაა კოლექტიური ხელშეკრულების ურთიერთ შორის შეკვრის შესახებ. შეთანხმება, როგორც გადმოგვცემენ, ვერ მომხდარა. მოსალოდნელია საქმემ მწვავე ხასიათი მიიღოს. ამიტომ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა შრომის მინისტრს აცნობა შემდეგი: როგორც ქარხნებისა და სავაჭრო სამრეწველოთა კონფერენციამ გადმოგვცა ბაქოდან, მუშებს აღელვება ეტყობათ, ვინაიდან კონფერენციამ ვერ შესძლო მოპირდაპირე მხარეთა შეთანხმება, რათა მათ კოლექტიური ხელშეკრულობა დაედვათ. ამიტომ შესათანხმებელი კომისია თფილისში გამოვიწვიეთ, შეიძლება აქ შევსძლოთ მათი მორიგება.

ამ საკითხის შესახებ ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სწერს: ყოველგვარი შეკავშირებული ეკონომიური ბრძოლა იმავე დროს არის ბრძოლა პოლიტიკური. მუშათა წრეებში ამის შესახებ ხშირათ ლაპარაკობენ, მაგრამ ამავე დროს ხშირად ივიწყებენ მას. მუშების ცალ-ცალკე გამოსვლებს და რაიმეს ისე მოპოვებას დიდი ზარალი მოაქვს ეკონომიური ბრძოლისათვის.

ბაქოში მუშების მდგომარეობა აუტანელია. სამუშაო ხელფასი ცოტაა. ყოველგვარ მოსახმარ საგნებზე ფასები საოცრათ იზრდება, მრეწველები კი არაფერს არ უთმობენ და თუ უთმობენ ის ხომ სათქმელადაც არ ღირს ისე ცოტაა. ასე რომ რევოლიუციონური „ბუნტის" მოსახდენათ ნიადაგი მზათაა. სულ მცირე მოწოდება ასეთ შემთხვევაში მუშებში დიდ თანაგრძნობას პოულობს.

როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიურის ბრძოლის წარმოების დროს მუშებში თანდათან ფეხს იკიდებს ის შეგნება, რომ ყველაფერი ერთი დაკვრით არ გაკეთდება. მშვიდობიან დროს საზოგადოთ ადვილი საქმეა შედარებით სტიქიური მოძრაობისათვის ორგანიზაციული ხასიათის მიცემა ეკონომიური ბრძოლის დროს. საერთაშორისო ომის მეოთხე წლის თავზე, როცა ასეთ დიდ რევოლიუციაში ვართ გახვეულნი და დემოკრატია ახალი რუსეთის შესაქმნელათ მუშაობს, ასეთ დროს პროლეტარიატის კლასიური ინტერესები ხშირათ სახელმწიფოებრივ ინტერესებს უნდა შეუთანხმდეს.

გაფიცვა საუკეთესო იარაღია მწარმოებელთა მადის ასალაგმავათ. მშვიდობიან დროსაც კი ასეთ შემთხვევაში, როცა ორი მოპირდაპირე ერთმანეთზე იერიშით მიდიან არ უნდა დავივიწყოთ სულ უმნიშვნელო გარემოებანიც კი: როგორიცაა მაგ. ბაზრის ფასები, შემონახული მასალების რაოდენობის გათვალისწინება, რა ხასიათისაა სამუშაო და სხ. და სხ. ამჟამათ ყველა ამათ უნდა დავუმატოთ ის, რომ ამჟამათ მთელი სახელმწიფო საფრთხეშია, მას დაცვა სჭირდება და მთელი ცხოვრების ახალ საფუძველზე მოწყობა. დღეს ასეთი მდგომარეობაა: დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრება იმის გარანტიას არ იძლევა, რომ გაფიცვა დიდ რამეს მოგვიტანდეს. პირიქით, გაფიცვას ამჟამად შეუძლია რეაქციის გამოწვევა.

ამისთვის საჭიროა მუშათა კლასმა ისე იმოქმედოს, რომ გამარტოვებულათ და უმწეოთ არ დარჩეს.

კონფერენციაც ანგარიშს უწევს ახლანდელ მდგომარეობას. კონფერენციის აზრით, ბრძოლამ რომ ნაყოფიერი შედეგი მოგვცეს, უნდა სასტიკათ ებრძოლონ მუშებმა ყოველგვარ ანარქიულ გამოსვლებს. ბრძოლა უნდა იყოს მიზანშეწონილი, აი რა მიანიჭებს მუშათა კლასს გამარჯვებას!

დეპეშები.

გუშინ ღამით აკაკი ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ახალი მთავრობის შედგენის შემდეგ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მომენტის უმთავრესი საზრუნავი საგანია ჯარის საომრათ გაძლიერება. ამ მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო თათბირი შექმნა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საბჭოში შედიან, პროფესიონალური კავშირების, კოოპერატივების, ქალაქთა კავშირის, სამეცნიერო და ტეხნიკურ საზოგადოებათა და სხვა დემოკრატიულ დაწესებულებათა წარმომადგენლები. ამ ჟამათ ამ თათბირს თავრიდის სასახლეში სხდომა აქვს და ბჭობენ თავდაცვის შესახებ.

მეორე საკითხი შეეხება მუშათა ეკონომიური მოთხოვნილებების მშვიდობიანის გზით დაკმაყოფილებას; კერძო ლითონზე მომუშავე მუშათა მოთხოვნა მწვავეთ სდგას. ლითონზე მომუშავეთა საერთო კრებაზე გადაწყდა დღევანდელ პირობებში გადაჭრილი მოთხოვნანი არ წამოაყენონ. ეს კრიზისი არ შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულათ.

ცენტრალურ კომიტეტის უმთავრეს საზრუნავ საგანს შეადგენს საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მოწვევა დანიშნულია 26 აგვისტოსათვის ძველ სტილით. დროებითმა მთავრობამ შინაგან და სამხედრო მინისტრებს ნება დართო თუ ისინი საჭიროდ დაინახავენ, დახურონ ყოველგვარი კრებები და ყრილობები. ეს განკარგულება ძალაში შედის, სანამ მას სენატი გამოაცხადებს.

დროებით მთავრობას აზრათ აქვს დამფუძნებელი კრების გადადება. ამის გასამართლებელ საბუთად მოჰყავთ ტეხნიკური მოსაზრებანი. როგორც ეტყობა, ზოგიერთ კადეტებს სურთ დამფუძნებელ კრების მოწვევის გაჭიანურება. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამის შესახებ ჰქონდა თათბირი. ბიურო მომხრეა როგორც წინეთაც, დამფუძნებელი კრების რაც შეიძლება დაჩქარებით მოწვევისა. თავისი აზრის განსახორციელებლად ბიურო მოიწვევს დამფუძნებელი კრების არჩევნების მომწყობ კომისიის შემარცხენე წევრებს. ცენტრალურ კომიტეტს აუარებელი დეპეშები მოსდის მეოთხე დუმის მოსპობის შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა მუშათა და ჯარისკაცთა ყველა პროვინციალურ საბჭოებს მიმართა, სადაც მათ მოუწოდებენ შემოსავლის ნაწილი ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოთ გადასდვან. მუშაობა ფართოვდება, განსაკუთრებით საჭიროა დიდ-ძალი ფული დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

(პეტ. დეპ. სააგ. 30—31 ივლისი).

ჯარების შეტაკება.

კიევი. კიევის სადგურის ახლოს ფრონტზე გასაგზავნმა უკრაინის ბოგდან ხმელნიცკის პოლკმა მატარებლიდან ყოვლად უმიზეზოდ რკინის გზის მცველს კირასირებს თოფები დაუშინა. კირასირებმა პასუხი გასცეს. მოკლული და დაჭრილები ორივე მხრიდან აღმოჩნდა. ვოლინსკის პოსტზე უკვე დეპეშით იცოდენ და აჯანყებულებს მზათ შეხვდენ. მატარებელს ალყა შემოარტყა კირასირის პოლკმა და მოსთხოვა დანებებულიყვნენ. აჯანყებულებმა უარი სთქვეს და ისევ სროლა ასტეხეს. კირასირებმა თოფები და ტყვიისმფრქვეველები დაუშინეს. ბოლოს აჯანყებულები დანებდენ. მათ იარაღი აჰყარეს. ზოგიერთები გაიქცენ. დღეს მოვიდა მატარებელი და მოიტანა 14 მოკლული. ფიქრობენ რომ ორივე მხრიდან დაიჭრა 50 კაცი.

შტაბის განცხადება.

ადესა. გამოქვეყნდა საოლქო შტაბის განცხადება, რომ ტყუილია ის ხმები თითქოს ადესას რაიმე საფრთხე მოელოდეს და სცლიდენ. ქალაქს არავითარი შიში არა აქვს მტრისგან და თუ ზოგიერთ სახლებს სცლიან სადაც სამხედრო დაწესებულებებია—ეს იმიტომ, რომ ის ფრონტის საჭიროებისათვის გამოიყენონ.

გაზეთის დახურვა.

ცარიცინი. პეტროგრადიდან დეპეშით განკარგულება გასცეს დახურონ ბოლშევიკების ადგილობრივი გაზეთი „ბორბა". რედაქტორი დაატუსაღეს.

დროებითი მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. ნება ეძლევა შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრებს ომის დროს ნება არ მისცენ და დახურონ ყოველი ყრილობა და კრებები, რომლებიც სამხედრო მხრით საფრთხეს წარმოადგენენ და ეს დადგენილება ძალაში შევიდეს სანამ მას სენატი გამოაქვეყნებდეს. მინისტრი—თავმჯდომარე კერენსკი. იუსტიციის მინისტრი ზარუდნი.

ყაზახების ნაკაზი.

ნოვოჩერკასკი. დონის ოლქის ყაზახთა მამასახლისებმა მთელ ოლქში ნაკაზები გაგზავნეს, რომლითაც აცნობენ რა ყაზახებს დღევანდელ საშიშ მდგომარეობას, რომ მთელ რუსეთს საფრთხე მოელის, მტერი კარზე გვადგია და მზათ არის შემოიჭრეს, მოუწოდებს მათ ყველანი აღსდგენ სამშობლოს დასაცველათ. შეიძლება—ამბობს ნაკაზი—თქვენ შეტაკება მოგიხდეთ აჯანყებულ ჯარის კაცებთან, რომლებმაც დაივიწყეს სამშობლო, თავისუფლება და მოღალატე გახდენ, მაგრამ ნურაფრის წინ ნუ დაიხევთ, რადგან ამით თქვენ შეასრულებთ თქვენ მოვალეობას სამშობლოსა და მთელი რუსეთის ხალხის წინაშე. ყაზახების იმედი მუდამ ჰქონდა რუსეთს და ეხლა ამ იმედს ნუ გაუცრუებთ, თუ გაგიჭირდეთ ბრძოლა მოიგონეთ, რომ თქვენ მხარს გიჭერს და მზათ არის დასახმარებლათ მთელი დონი და ყაზახობა.

ყაზახთა კონფერენციის რეზოლიუციები.

ნოვოჩერკასკი. 23 ივლის ურალის და ასტრახანის ყაზახთა წარმომადგენლებმა კონფერენციაზე გამოიტანა შემდეგი რეზოლიუციები: 1) დადგა დრო, როდესაც აშკარათ უნდა განვაცხადოთ, რომ რუსეთის მოქალაქეებმა უნდა დაიხსნან სამშობლო, რადგან სამშობლოს დაღუპვა რევოლიუციის დაღუპვაა. 2) რუსეთის ხსნა შეუძლია მხოლოდ ძლიერ ნაციონალურ მთავრობას, რომელსაც განუსაზღვრელი უფლება ექნება მინიჭებული. 3) ოდესღაც თავ-დადებული და რუსეთის საამაყო ჯარი მოღალატეთა მეოხებით ეხლა იღუპება. კონფერენცია გადაჭრით მოითხოვს შემოღებულ იქნას ჯარში რკინის დისციპლინა. 4) ყაზახები ნებას არ მისცემს განხორციელებულ იქნეს მიწის შესახებ რაიმე ძირითადი რეფორმა დამფუძნებელ კრებამდე. 5) ყველა ყაზახებს, როგორც ფრონტზე ისე ზურგს უკან ნება მიეცეს დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, საჭიროა გადადებულ იქნას არჩევნები, რადგან ეს 17 სექტემბრამდე არ მოესწრება. დამფუძნებელი კრება უნდა მოწვეულ იქნას მოსკოვში.

ქალაქის თავი რევოლიუციონერი.

ბორისოგლებსკი. ქალაქის თავათ აირჩიეს ცნობილი რევოლიუციონერი მიაგკოვი, რომელიც 1905 წელს გამომცემლობა „კოლოკოლს" ედგა სათავეში.

ადლერის ავათმყოფობა.

სტოკჰოლმი. ვენიდან იტყობინებიან, რომ ფრიდრიხ ადლერი ფილტვების ანთებით გახდარა ავათ.

მატარებლების დაჯახება.

მინსკი. ალექსანდროვის რკინის გზიდან მოსული მგზავრების ცნობით მატარებლების დაჯახება აქ მომხდარა. სანიტარულ მატარებლიდან მოხსნილა რამდენიმე ვაგონი და დაუჯახებია სატვირთო მატარებელს, ამას გამოუწვევია ორთქლმავლის აფეთქება. დამტვრეულა სატვირთო და სამგზავრო ორი ვაგონი, მოკლული და დაჭრილები ბორისოვკაში მიიყვანეს. მსუბუქათ დაჭრილა 100 კაცი, სამი მძიმეთ დაჭრილი გარდაიცვალა.

კამენევის საქმე.

პეტროგრადი. დეპუტატთა საბჭოს წევრის კამენევის საქმე ლენინის, ზინოვიევის და სხვების საქმეებიდან გამოჰყეს.

ფულის გაფლანგვა.

პეტროგრადი. ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით გამომძიებელს გადასცეს ყოფილი მისი ბუხგალტერი ბურავცევი, რომელმაც დიდძალი ფული მიითვისა.

რუმინიის მთავრობა როსტოვში გადაყავთ.

დონის როსტოვი. შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარის ცნობით შესაძლებელია როსტოვში გადმოიყვანონ რუმინიის მეფის ოჯახი და მთავრობა.

ბაქოს ნავთის მრეწველებმა მუშების პირობებზე უარი სთქვეს.

ბაქო. ბაქოს ნავთის მრეწველებმა უარი სთქვეს მუშების მიერ შემუშავებულ პირობებზე კოლექტიურ ხელშეკრულობის შედგენაზე. მუშათა კონფერენციამ დაადგინა არ მოახდინოს გაფიცვა, რადგან ბაქოს ნავთის წარმოებას სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ამის შესახებ აცნობა შრომის მინისტრს.

სოციალისტების გამარჯვება არჩევნებში.

სარატოვი. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიეს მენშევიკი ს.-დემოკრატი ჩერტკოვი, მის ამხანაგებათ ს. დემოკრატი მაქსიმოვი, ს.-რევოლიუციონერი კასანდროვი, ქალაქის თავათ ს.-რევოლიუციონერი მილაშევსკი. დეკლარაციაში აღნიშნულია მჭიდროთ შეკავშირება რუსეთის და რევოლიუციის დასახსნელათ. კერენსკის მისალმების დეპეშა გაუგზავნეს.

აღმასრულებელ კომიტეტების კრება.

პეტროგრადი. ღამის პირველ საათზე დაიწყო მუშათა და ჯარისკაცთა და სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების კრება. ილაპარაკეს მინისტრ-სოციალისტებმა, რომლებმაც გააცნეს კრებას ახალი მთავრობის შედგენა და ის ზომები, რომლების მიღებასაც ისინი ფიქრობენ ქვეყნის დასახსნელათ. სკობელევმა აღნიშნა ის მძიმე პირობები, რომლებიც გადალახა კერენსკიმ და ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს და იმედი გამოსთქვა, რომ მთავრობა შესძლებს დაიხსნას რევოლიუცია და ყველა ვისაც უყვარს თავისი სამშობლო, მხარი უნდა დაუჭიროს მთავრობასო. შემდეგ ილაპარაკეს პეშეხონოვმა, ავქსენტიევმა, ჩერნოვმა და ყოფილმა მინისტრმა წერეთელმა. წერეთელს ისეთი ოვაცია გაუმართეს, როგორიც ჯერ თავრიდის სასახლეს არ უნახავს. წერეთლის შემდეგ დანმა გამოაქვეყნა სოც.-რევოლიუციონერების და სოციალ-დემოკრატ მენშევიკების რეზოლიუცია, რომლითაც მოუწოდებენ მთელ დემოკრატიას მთელი ძალღონით მხარი დაუჭირონ მთავრობას, საჭიროთ სცნობს უკეთუ მინისტრ-სოციალისტებმა დემოკრატიულ პრინციპებს გადაუხვიეს გაიწვიონ საბჭოებმა, იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა შესძლებს ქვეყნის დახსნას, უკეთუ ის დამყარებული იქნება რევოლიუციონურ ორგანოებზე. შემდეგ რეზოლიუცია მოუწოდებს ყველა საბჭოებს მხარი დაუჭირონ ქვეყანას მედგრათ ებრძოლონ რევოლიუციის და თავისუფლების წინააღმდეგ ყოველივე გამოსვლას. ღამის სამ საათზე დაიწყო ფრაქციების წარმომადგენლების ლაპარაკი. სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის კრებაზე ილაპარაკა კერენსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ რევოლიუციონერმა ხალხმა მას ფრიად მძიმე საქმე დააკისრა—რევოლიუციის დახსნა და ეს მან მოახერხა. ის იმედს აცხადებს, რომ მთავრობა შესძლებს რევოლიუციის დახსნას უკეთუ მას მხარს დაუჭერს მთელი დემოკრატია, რომ დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს მიწის საკითხს გლეხების სასარგებლოთ. დასასრულ მან სთქვა, რომ მას მხოლოდ ერთად ერთი აზრი აქვს, ხალხის კეთილდღეობა და მისი ინტერესების დაცვა.

ინგლისის მუშები სტოკჰოლმის კონფერენციაზე დელეგატებს გზავნიან.

ლონდონი ბრიტანიის მუშათა პარტიის კონფერენციამ 1 846 000 ხმით წინააღმდეგ 550 000 ხმისა, მიიღო რეზოლიუცია გაგზავნოს დელეგატები სტოკჰოლმის კონფერენციაზე. სალამოზე ვესტმინსტერჰოლში მოხდა ნაციონალური დემონსტრაცია ბრიტანიის დელეგატების გერმანელებთან სტოკჰოლმში შეხვედრის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ. ფედერაციის მდივანმა ტრედუნიონმა აპლტონმა რეზოლიუცია შეიტანა, რომლითაც პროტესტს აცხადებს შეხვდენ ბრიტანელები მტრის დელეგატებს, სანამ მტერს მოკავშირეთა ტერიტორია უჭირავს. რეზოლიუცია მიიღეს 8 ხმის წინააღმდეგ.

რკინის გზების დაცვა.

პეტროგრადი. კავკასიის ფრონტის ჯარის მთავარსარდლის ბრძანებით შემოღებულ იქნა კავკასიის ფრონტის რკინის გზების სამხედრო დაცვა. ამ მცველებს ევალება გზებზე წესიერების დამყარება, ლიანდაგის აგენტების დაცვა ძალმომრეობისგან და ქურდების დაჭერა. გზების დაცვის საქმის დამოუკიდებლათ წარმოებისთვის კავკასიაში არსდება ორი დაწესებულება ერთი ვლადიკავკაზში და მეორე თფილისში.

მოსკოვის თათბირი.

პეტროგრადი. მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა მოიწვიოს თათბირი მოსკოვში 10—12 აგვისტოს. დაახლოვებით თათბირს დაესწრება 2000 კაცი.

პეტროგრადის მეტი ხალხისაგან განთავისუფლება.

პეტროგრადი. მეტი ხალხისაგან პეტროგრადის განთავისუფლების საკითხი განიხილა მინისტრ ამხანაგების კრებამ და საბოლოოთ გადაწყდება 1 აგვისტოს. აზრათ აქვთ მიიღონ სასტიკი ზომები გაანთავისუფლონ პეტროგრადის მეტი ხალხისაგან, რომლის იქ ყოფნას სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი საჭიროებანი არ მოითხოვენ.

რუსეთის ფედერატიულ წესწყობილების მომხრე ერთა წარმომადგენლების ყრილობა.

კიევი. 15 აგვისტოს დანიშნულია კიევში რუსეთში ავტონომიურ—ფედერატიულ წესწყობილების მომხრე ერთა წარმომადგენლების ყრილობა. ყველა ერი თანასწორ წარმომადგენლებს გზავნის. ოლქებმა და პარტიებმა, რომლებსაც ყრილობაზე დასწრება უნდათ პირდაპირ ცენტრალურ რადას უნდა მიმართონ.

გერმანელთა ჯარების შეტაკება.

პარიზი. ჰააგიდან იტყობინებიან, რომ ანტვერპენში ბავარიის და პრუსიის ჯარს შეტაკება მოუხდა. არიან დაჭრილები და დახოცილები. დაწვრილებით ჯერ არაფერი იციან.

ომის დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.).

პეტროგრადი. 30 ივლისი. ვოლოჩინის მიმართულებით და ქ. ზბარაჟის რაიონში მტერმა საარტილერიო სროლა განაცხოველა. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა მდ. ზბრუჩა გადალახეს და იქიდან 21 გერმანელი ტყვეთ წამოიყვანეს. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

რუმინიის ფრონტზე, მდ. დოზარას ზემო ნაწილებში ბრძოლა გრძელდება. ავსტრია-გერმანიის ჯარმა ოკნას მიმართულებით სასტიკი იერიშები მიიტანა და რუმინიის ჯარი იძულებული გახდა ოკნასაკენ დაეხია. სასტიკი იერიშები მოიტანეს ფოკშანი მერეშესტის მიმართულებით და აქაც რუმინიის ჯარს ელენის, მერეშესტისა და ფუნენსკენ დაახევია. მდ. სუზეს რაიონში მტრის ზოგიერთი პოზიციები დავიკავეთ და სამხედრო ტყვეები წამოვიყვანეთ, ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი და 6 ტყვიის მფრქვეველი.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი. 29 ივლისი. სენ-კანტენის ჩრდილოეთით, დიუფენის რაიონში მტრის სანგრები დავიკავეთ. დიდმნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი დავიკავეთ აილის სამხრეთით. შამპანში მტრის კონტრ-იერიში მოვიგერიეთ, კორნილიეს ჩრდილოეთით მტერმა ჩვენი სანგრების ერთი ნაწილი დაიკავა, მაგრამ მალე იერიში მივიტანეთ და დაკარგული ადგილები კვლავ უკან დავიბრუნეთ.

ლონდონი. 29 ივლისი. საფრანგეთის ფრონტზე, იპრის აღმოსავლეთით საარტილერიო სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. აქ მტრის სასტიკი იერიშები მოვიგერიეთ.

რომი. 29 ივლისი. გორიცის რაიონში მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ. აქ მტერს დიდი ზიანი მივაყენეთ.

რუსეთის ფრონტზე.

პეტროგრადი. ოფიციალური. ლიდის მიმართულებით გაცხარებული სროლაა. მტრის ცდა რომ ბროდის მიმართულებით დუბ-ზარეცკის რაიონში ჩვენზე იერიში მოეტანა უშედეგოთ დამთავრდა. მტრის იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. რუმინიის ფრონტზე, სერეტისა და სუჩავის დაბლობებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მდ. დობრის სათავეში მტერმა რამდენიმეთ შეავიწროვა ჩვენი ჯარები. ოკნას სამხრეთ-დასავლეთით 28 ივლისს მთელი დღე გაგრძელდა სროლა. ამავე დღეს მტერი განაგრძობდა იერიშების მოტანას ფოკშანი მერესეჩის რაიონში. სალამოს მტერმა გვაიძულა სუშიცის მიდამოებზე გადმოვსულიყავით. იმავე რაიონში რკინის გზის აღმოსავლეთით მტრის იერიშები უშედეგოთ დამთავრდა. წამოვიყვანეთ 800 ტყვე. ბრძოლა გრძელდება. სალამოს ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშების მოტანა დაიწყო და ზოგიერთ ალაგას მდ. სუშიცს გადავიდა. სადგურ მოლოდეჩნოს მტერმა ყუმბარები დაუშინა.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. უკანასკნელ ხანებში მტერმა მოქმედება გააძლიერა ვოლინის მიმართულებით. ბროდისა და დნისტრის სამხრეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ბროდიდან სამხრეთ-დასავლეთით 10 ვერსის მოშორებით ბროდიდან ზარკოვის ტყის რაიონში მტერმა იერიშები მოიტანა და ჩვენი ჯარი იძულებულყო უკან დაეხია. ვილეიკაში ნემეცების აეროპლანმა ყუმბარები დააყარა საერობო კავშირის ლაზარეთს: დაანგრია აფთიაქი, დაიჭრა სანიტარი, მოწყალების და და ხუთი ავათმყოფი ჯარისკაცი.

სევასტოპოლი. ჩვენმა გემებმა შავ ზღვაზე ოსმალეთის რამდენიმე ფელუგა დაიჭირეს სხვადასხვა ტვირთით სავსე. სხვათა შორის ბევრი აღმოჩნდა ზეთის ხილი. დატყვევებული ოსმალები და ფელუგები სევასტოპოლში მიიყვანეს.

პარიზი. 30 ივლისი. ბელგიაში განვაგრძეთ წინ წაწევა. ლიქსხოოტეს აღმოსავლეთით რამდენიმე ფერმა ჩავიგდეთ ხელში. სენკანტენის სამხრეთით გერმანელებმა ჩვენზე იერიშები მოიტანეს, მაგრამ ჩვენ მათ უკან დავახევიეთ. ენის სამხრეთით მდებარე ადგილებში მტერმა სასტიკი იერიშები მოიტანა სამი ბატალიონი ჯარით. მტრის იერიშები ჩვენ მოვიგერიეთ. საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა. წამოვიყვანეთ 69 ტყვე. სხვა ადგილებშიაც დაიწყეს მათ იერიშების მიტანა, მაგრამ ვეღარ შესძლეს.

საფრანგეთის ფრონტი.

პარიზი. 29 ივლისი. მთავარ ბანაკის ცნობა. ბელგიის ფრონტზე ლანგენმარკის სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ. წამოვიყვანეთ 20 კაცი ტყვე. 26 ივლისს ღამით ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაყარეს კოლმარსა და გაბსჰეიმში.

ლონდონი. ბრიტანეთის მთავარი ბანაკის ცნობა. იპრის ახლოს საარტილერიო ბრძოლაა. ლანსის ახლოს რამდენიმე ტყვე ჩავიგდეთ ხელში. გერმანელთ ზოგიერთ სანგრებს თავს დავესხით, ბევრი მათგანი დავანგრიეთ. ნიუპორის ხაზზე გერმანია საარტილერიო ბრძოლას აცხოველებს. ჩვენმა ფრინველებმა გუშინ გერმანიის ორი აეროპლანი დააზიანეს. 26 ივლისს დიქსმოიდეს სამხრეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს.

ბალკანეთის ფრონტი.

ლონდონი. ოფიციალური ცნობა. პრესპის ტბასთან მტერი შეეცადა ჩვენზე თავდასხმას, მაგრამ მოვიგერიეთ. რამდენიმე ტყვეც ჩავიგდეთ ხელში. ვარდარის და ცრნის რაიონში გაძლიერებული საარტილერიო სროლაა. ბრიტანეთის მფრინავებმა ლივანოვში ყუმბარები ჩაყარეს. დააზიანეს აეროპლანების გასაჩერებელი ადგილი და საწყობები.

ახალი ამბები

დღეიდან გაზეთი „ერთობა" ღირს 12 კ., თვიურათ 2 მ. 60 კაპ. აგენტებს კანტორა „განათლებიდან" დაეთმობა 9 კაპ.

◆ **შეერთებული კრება.** 2 აგვისტოს ქალთა პირველ გიმნაზიაში, სალამოს 7 საათზე მოწვეულია საოლქო, თფილისის და რაიონული კომიტეტებისა და საარჩევნო ბიუროს შეერთებული კრება წარსულ არჩევნებისა და სხვა კითხვებზე მოსალაპარაკებლათ.

— 3 აგვისტოს ნაძალადევის თეატრში, სალამოს 8 საათზე მოწვეულია ახალ არჩეულ სოც.-დემ. ხმოსნების ფრაქციული კრება მომავალ მუშაობაზე მოსალაპარაკებლათ.

◆ **სოც.-დემოკრატიულ პარტიის ბიულეტენი № 1,** ვისაც აქვს დარჩენილი, სთხოვენ შემოიტანონ ბიუროში (გოლოვინის პრ. № 12).

◆ **არჩევნების შედეგები.** თფილისის ქალაქის არჩევნებში სოციალ დემოკრატები იმარჯვებენ. თუმცა ჯერ დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს მაგრამ სოც.-დემ. ეყოლებათ საბჭოში არა ნაკლებ 60 ხმოსნისა. მეორე რიგში მიდიან დაშნაკაკანები, შემდეგ: ესერები, კადეტები, ბოლშევიკები, ნაციონალ-დემოკრატები და სხვები.

◆ **გაზეთის შეწყვეტა.** ფულის გადაუხდელობის გამო დღეს გაზეთები უკანასკნელად იგზავნება შემდეგ ადგილებში: ერევანში, გორში და ლანჩხუთში.

◆ **გაფიცვა.** გაიფიცენ თფილისის მეთონეები. მოითხოვენ პურზე ფასის გადიდებას.

◆ **თფილისის პოლიტეხნიკუმი.** პოლიტეხნიკუმის მომწყობ მთავარმა კომიტეტმა დაადგინა დაიწყოს სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტის პირველ კურსზე შემსვლელთა ჩაწერა, ჩაწერა შეიძლება 25 აგვისტომდე. ინსტიტუტში მიღებულთა სია გამოქვეყნდება 1 ენკენისთვეს. სულ მიიღებენ 250 სტუდენტს, სტუდენტებათ იღებენ იმათ, ვისაც დასრულებული აქვს გიმნაზია, რეალური სასწავლებელი დამატებითი კლასით, საშუალო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი, სასულიერო სემინარიის 4 კლასი და კომერციული სასწავლებელი (1896 წ. 15 აპრ. დებულ.) თხოვნის შეტანის დროს უნდა გადიხადონ ნახევარი წლის სწავლის ფული 75 მან.

◆ **ამხ. აკაკი ჩხენკელის დეპეშა.** სამურზაყანოს გლეხებმა დაადგინეს დაატყვევონ მ. ემუხვარი, რომელიც თავის დასაგმობ მოქმედებით დიდ უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებთა შორის. ამის გამო ა. ჩხენკელმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სამურზაყანოს გლეხებს: „დაბეჯითებით ვსთხოვ სამურზაყანოს გლეხებს, მის რევოლიუციონერ ორგანოების სახით, გრიგორი ემუხვარის ხსოვნის პატივსაცემლად, რომელმაც თავისუფლებისა და საკაცობრიო იდეალებს უცხო მხარეში შესწირა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე, ნუ დაატყვევებთ მის მამას მელიტონს. მე კარგათ მესმის გლეხების აღშფოთება, მესმის ისიც, რომ მ. ემუხვარი ღირსია უსასტიკესი სასჯელისა, მაგრამ ის მამაა ჩვენი ძვირფასი გრიშასი, რომელსაც სპარსეთის დემოკრატია რევოლიუციონერ დიდების ძეგლს უდგამს. ვსთხოვ სამურზაყანოს გლეხებს ჩემი თავდებობის ქვეშ განანთავისუფლონ მ. ემუხვარი იმ პირობით, რომ თუ მან კიდევ ჩაიდინა რევოლიუციისა და ახალი წყობილების წინააღმდეგ რამე, მაშინ მას დასჯიან რევოლიუციონური ხალხის შეუბრალებელი სასჯელით“.

◆ **ნავთის ხაზეფოში.** ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი დეპეშით ატყობინებს შრომის მინისტრს ამხ. სკობელევს, რომ ბაქოს ფაბრიკა-ქარხნებისა და სამრეწველო დაწესებულებების აღმასრულებელ კომიტეტების ცნობით მუშები საყოველთაო გაფიცვით იმუქრებიან, ვინაიდან კოლექტიური ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება არ მოხერხდა. უთანხმოების გამოსარკვევად ბაქოდან თფილისში გამოიწვიეს შემთანხმებელ კომისიის წევრები.

◆ **ქალაქის კომიტეტი.** დღეიდან გაუქმდება ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი. მისი საქმეები გადაეცემა ქალაქის ახალ საბჭოს.

◆ **თაფლის კვახი** ნიხრის თანახმად უნდა გაიყიდოს 25 კ. ბოთლი. ვაჭრებმა, რომ ნიხრს გვერდი აუარონ, დაარქვეს მას იაპონიის ლუდი და 35 კ. ყიდიან ბოთლს.

◆ **პური.** მე-11 რაიონის სასურსათო კომიტეტმა მოაწყო პურის გამოცხობა.

◆ **სურსათი.** 30 ივლისს თფილისში მოვიდა 9 ვაგონი ფქვილი, 1 ვაგონი შაქარი, 31 ივლისს—8 ვაგონი ფქვილი.

◆ **სამგლოვიარო წერილი.** სარაკამიშიდან სამწუხარო ამბავი მოავიტანა ჩვენმა გაზეთმა: „აღარა გვყავს პროლეტარიატისთვის თავდადებული მებრძოლი და ნაძალადევის გმირი გიორგი მარსაგოვი. გიორგის ხსოვნას არასოდეს არ დაივიწყებს მუშათა კლასი და მით უმეტეს, ჩვენ, მისი ნაცნობები. ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ ამხანაგების და ჭირისუფლების მწუხარებას. ზოსიმე ტყეშელაშვილი, ალექსი ქელიძე.

პროვინციის ქრონიკა.

ს. მიქელ გაბრიელი. (გურია). 1 ივლისს, აქ ადგილობრივმა ამხანაგებმა, სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნა: „ძუნწი“, „ტიმოთეს ლილეი“ და „ორი მშიერი“. წმინდა შემოსავალი დარჩა—155 მან. რომლიდანაც: 50 მან. გადაეგზავნენ სოც. დემ. პარტიული სტამბის შესაძენათ. 45 მ. მიქელგაბრიელის წიგნთ.-სამკითხველოს. 25 მ. ვაკის სამკითხველოს, 20 მან. ს. ხრიალეთის წიგნთსაცავ-სამკითხველოს, 15 მან. ს. სამხთოს სამკითხველოს. წარმოდგენა კარგად ჩატარდა. ხალხი ნასიამოვნები დარჩა.

ასკანა. (გურია). 16 ივლისს ამხ. ვ. ნინიძემ წაიკითხა ლექცია „ეროვნულ საკითხზე“. ხალხი ბლომათ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი.

— 23 ივლისს, იმავე ნინიძემ წაიკითხა ლექცია „აგრარულ საკითხზე“.

— **ქუთაისის ხასურსათო** კომიტეტმა ჩრდილო კავკასიიდან მიღებული სიმინდი ასე განაწილა. შვიდ შვიდი ვაგონი საჩხერეს და ტყიბულს, ექვსი ვაგონი სვირს, ხუთ ხუთი ვაგონი ჭიათურას, ბაღდათს, ჩხარს, ოთხ-ოთხი ვაგონი—ძირულას, ბელაგორს; სამი ვაგონი—ყვირილას, ორი ვაგონი—მოლითს, თითო ვაგონი—დარკვეთს, სალითს, ზოსლევს, რკვიას, ოჩიას, გელათს, ხრესილს, აჯამეთს, სიმონეთს, ამაშუკეთს, ქვიტირს, სამტრედიას და წყალს; ათ-ნახევარი ვაგონი—ქუთაისს; მომხმარებელ საზ. კავშირს—21 ვაგონი; ონის საფოსტო ტრაქტის გაზეს—1 ვაგონი.

რგანი (ჭიათურის რაიონი). 23 ივლისს გამართეს, წარმოდგენა ვ. ლეჟავას რეჟისორობით, წარმოდგენილი იქნა ცაგარლის „ჩინჩაზი“ და ბალანჩივაძის ვოდევილი „უბედური დღე“, ხალხი ბლომათ დაესწრო. შემოვიდა 150 მან. შემოსავლის 35%, გადადებულ იქნა ამ სოფლის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ.

† ევტიხი თალაკვაძე.

მას იცნობდა მხოლოდ ის ამხანაგები, რომლებსაც მასთან უმუშავნია პარტიაში. მას აქ მუშაობით თავი არ მოქონდა, ვერც ორატორული ნიჭით გაგაკვირვებდა, მაგრამ ის გულწრფელი და პატიოსანი პარტიული მუშა იყო. მას ეს წმინდა საქმე ისე უყვარდა და თავს ევლებოდა, როგორც კარგი მამა თავის საყვარელ შვილებს. ევტიხი იმ დროს მუშაობდა, როცა სანდო ამხანაგი სანთლით საძებარი იყო. ოზურგეთში პირველი „იაჩეიკის“ დაარსებიდანვე პირველი წევრი იყო. ბევრს რომ პარტიული მუშაობის ეშინოდა და პარტიულ მუშაობას გაურბოდა—ევტიხის პატარა სასადილოში ისე შევდიოდით, როგორც საკუთარ სახლში; სულ ერთია ეს რა დროსაც უნდა ყოფილიყო, ნივთიერი ზარალის ან თავის თავის არ ეშინოდა, ოღონდ პარტიისათვის რამე გაკეთებულიყო. რამდენჯერ იყო ის კასირათ, წარმომადგენლათ ამ ათი თორმეტი წლის განმავლობაში. უკანასკნელ დღემდე ერთხელაც არ დაუსვენია, უარი არ უთქვამს არც ერთ თანამდებობაზე და მუდამ პარტიისათვის მუშაობდა. მან ამის გამო ბევრი ზარალი, დაცინვა და ტანჯვა აიტანა, მაგრამ ერთხელ არჩეულ საყვარელ სახალხო საქმეს, ის არ მოშორებია. შრომის ნაყოფის გამარჯვებას, მტრის დამარცხებას მოესწრო; დიდებული, ბრწყინვალე განთიათი თავის თვალით იხილა, საყვარელ საქმეს მომვლელათ ათის მაგიერ ათასები დაუტოვა და მუშაობის გაგრძელება ამხანაგებს დაავალა. ისინიც რა თქმა უნდა ევტიხისებური ერთგულებით განაგრძობენ მუშაობას, წმინდა საქმის მოვლას და მით დაამტკიცებენ ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის ევტიხის ხსოვნას და პატივისცემას.

კოლია.

ამხანაგთა და მოქალაქეთა საყურადღებოთ.

მოკლე ხნის განმავლობაში პეტროგრადში განზრახულია გამოსცენ ღირსშესანიშნავი და ფრიად მნიშვნელოვანი გამოცემა „თავისუფალი რუსეთი“ რუსთა ცნობილი მხატვართა და მწერალთა მონაწილეობით, რომელშიც რუსეთის დიდი რევოლიუციის ბელადთა შორის მოთავსებული იქნება ჩვენი საამაყო ამხანაგი ირაკლი გიორგის ძე წერეთლის რეპინის მიერ შესრულებული მხატვრული სურათი.

ვინაიდან პეტროგრადიდან ითხოვენ დაჩქარებით შედგენილ იქნეს კაკის სრული ბიოგრაფია—დაბეჯითებით გთხოვთ ყველას, ვინც თანაუგრძნობს ამ მიზანს, ვინც პატივს სცემს კაკის პიროვნებასა და ინტერესებს მისი პიროვნების რუსეთის ფართო მასისთვის გაცნობა, დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ მის შესახებ მასალა, წერილები, ბიოგრაფიული ცნობები, მოგონებები, მისი ახალგაზრდობის დროს სურათები და შემთხვევები მისი ცხოვრების შესახებ.

გთხოვთ არ დაიზაროთ და ხელი შეუწყოთ ამ ფრიად მნიშვნელოვან ინიციატივას.

მასალები გამოგზავნება შემდეგის ადრესით: гор. Тифлисъ, редакція «Эртоба», Сергею Жоржоліани.

გორი.

ემზადეთ არჩევნებისათვის!

13 აგვისტოს დანიშნულია გორის ქალაქის თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნები.

ამ დღეს გორის მოქალაქეებმა უნდა დაამტკიცონ, თუ ვის თანაუგრძნობენ ისინი, ვის თვლიან ხალხის ინტერესების ერთგულ დამცველათ, ვის ხელში უნდა გადავიდეს ქალაქის თვითმართველობა და ვინ უნდა გახდეს ქალაქის ბედ-იღბლის გამგე.

ძველი თვითმართველობა მოკვდა. პლუტოკრატთა ბატონობას ბოლო მოეღო, მაგრამ საზოგადო ასპარეზზე გამოვიდნენ სხვადასხვა პარტიები—ღვიძლი შვილნი იმავე პლუტოკრატიისა და ხალხის ინტერესების დაცვას ჩემულობენ სხვადასხვა სახით,—ზოგიერთები სოციალისტის ქურქში გახვეულნი ლამობენ კვლავ ხელთ იგდონ საზოგადო დაწესებულებები. ისინი ირაზმებიან ერთი პარტიის—სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ოღონდ სოც.-დემოკრატები ნუ გავლენ და სხვა ვინც გინდა,—აი მათი დღიური ლოზუნგი!

ეს კარგათ უნდა დაიხსომოს ხალხმა. ძალას—ძალა უნდა დაუპირდაპიროთ.

როგორც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, ისე ეხლაც ერთსულოვნება უნდა გამოვიჩინოთ, შეერთებულ-შეკავშირებული გამოვიდეთ და გავიყვანოთ ჩვენი კანდიდატები. გორის სოც.-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაადგინა სრულებით დამოუკიდებლათ გამოვიდეს; უკვე შედგენილ იქნა ხმოსანთა სია, რომელიც პარტიის წევრთა საერთო კრებამ დაამტკიცა. სია ამ დღეებში გამოქვეყნდება, იგი იქნება პირველი ნომერი—№ 1.

ამხანაგებო! გაავრცელეთ ჩვენი მოწოდებები, აუხსენით ხალხს არჩევნების მნიშვნელობა! ურჩიეთ ჩვენს სიას № 1—მისცენ ხმა!

მიმართეთ რჩევა-დარიგებისათვის ჩვენს ს.-დემ. საარჩევნო კომისიებს, რომლებიც ყველა საარჩევნო უბნებშია.

ძალა ერთობაშია.

ემზადეთ არჩევნებისათვის!

ამხანაგი.

არჩევნების წინა დღე.

(შთაბეჭდილებანი).

შაბათი, 29 ივლისი.

თფილისის სადღესასწაულოთ მორთულ ქუჩებზე არაჩვეულებრივი მოძრაობაა.

ეს უკანასკნელი დღეა საარჩევნო სამზადისისა. ხვალ დილის 9 საათიდან უკვე დაიწყება არჩევნები. და აი, ამიტომ ყველა ცდილობს ყველას უნდა ერთხელ კიდევ უჩვენოს მოქალაქეთ თავისი დროშა, ერთხელ კიდევ მოუწოდოს ამრჩეველთ ხმა მისცენ მას.

მთელი ზღვა მოწოდებებისა, პლაკატებისა!

აი გამოჩნდა ავტომობილი ქართველ თავმორთულ ქალის გვერდით ზის ზიზილ-პიპილებში გამოწყობილი უკრაინელი ქალი. დიდ პლაკატზე დახატულია ქართველი ტიტია და უკრაინელი. ეს ფედერალისტებისა და უკრაინელების ბლოკია. ისინი ყველაზე ადრე გამოვიდნენ ქუჩაში. ჩვენი პარტია, ერთადერთი პარტია, რომელიც იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებსო—ამბობს ფედერალისტი ორატორი. მსმენელებში ეს მტკიცება ცოტა არ იყოს ეჭვს იწვევს. ორატორის მოწოდებაზე,—ხმა მიეცით სია № 5 დამსწრენი უპასუხებენ პირველს, პირველსო (ე. ი. ს.-დ. სიას № 1 მიეცით ხმაო).

ს.-რევოლიუციონერებმა მოახდინეს თავის ძალების მობილიზაცია და ქუჩაში გამოიყვანეს სამანიფესტაციოთ. მათი ლაშქარი—ეს ჯარის ნაწილია, რომელიც თავს იყრის „მიწა და თავისუფლების“ ლოზუნგის ირგვლივ. ისინი დადიან კერენსკის სურათით, მათი ორატორები უმთავრესად ილაშქრებენ „მენშევიკების“ წინააღმდეგ და უთითებენ მსმენელებს პლაკატზე, რომელზედაც სხვილი ასოებით წარწერილია: „ჩვენ მოვახდენთ ქალაქში მიწის სოციალიზაციას...“

ერევნის მოედანზე სოლოლაკიდან გაჩნდენ დაშნაკელებიც. ერთობ ახირებულათ უჭირავთ თავი. თავის ორატორის ყოველ სიტყვაზე ასტეხენ ყვირილს, ტაშის ცემას, ესენი ერთგვარ ობსტრუქციას ახდენენ და ხელს უშლიან სხვებს. ჩამოიარეს საბარგო ავტომობილებით ფედერალისტებმაც. „ძირს პლუტოკრატია“ იძახიან ისინი და დაშნაკელებისკენ იცქირებიან. „ძირს ნაციონალისტები“, ყვირიან დაშნაკელები და ფედერალისტებისაკენ უთითებენ...

მოახლოვდა საღამო. ქუჩაში გამოდის მუშაობისაგან განთავისუფლებული დემოკრატია. ერევნის მოედანზე გამოჩნდა რამდენიმე ავტომობილი. ჩვენებს გადაწყვეტილი აქვთ დღეს არ ილაპარაკონ, მაგრამ ხალხი დაჟინებით მოითხოვს ს.-დ. ორატორების გამოსვლას. ტრიბუნაზე გამოდიან სოც.-დემოკ. ორატორები ალ. ლომთათიძე და ვ. ჯუღელი და ყველანი ჩვენი ტრიბუნის ირგვლივ შემოკრბა. ეტყობა მოქალაქეებზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მათი სიტყვები დაშნაკელებისა და ფედერალისტების გამოსვლების შემდეგ. ორატორებს მხურვალე ტაშის ცემით აჯილდოვებენ. და ოვაციებით და „გაუმარჯოს სოციალ დემოკრატიულ პარტიას“ ძახილით გააცილეს.

შეღამდა. ერევნის მოედანს არ შორდებიან დაშნაკელები და განაგრძობენ ხმაურობასა და ღრიანცელს. აქ არიან ს.-რევოლიუციონერებიც. ჩვენი დარჩა მხოლოდ ერთი ტრიბუნა ს.-დ. ახსოვთებენ ს.-რევ., ეს უკმაყოფილებას იწვევს ს.-რევოლიუციონერებში. ახდენენ ობსტრუქციას, ყვირიან, არ აძლევენ ლაპარაკის ნებას ს.-დ. ორატორებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ს.-რ. და დაშნაკელები ერთად გამოდიოდნენ ს.-დ. წინააღმდეგ, მათი დროშები შეერთდნენ. დიდი არევ დარევაა. თუ არა ს. დემოკრატების სიდინჯე, მოსალოდნელი იყო ექსცესები... ფედერალისტებიც ს.-რევოლიუციონერებს უჭერდნენ მხარს. და ეს მაშინ, როცა პრესაში ებრძვიან მათ, და მოუწოდებდნენ ამრჩევლებს არ მიეცათ მათი სიისათვის ხმა, მაგრამ ამ არეულობის დროს, როცა უმრავლესობა ს.-რევოლიუციონერები იყვნენ, ალბათ ასე ჯობდა!...

ღამის 12 საათია. ერევნის მოედანზე დაშნაკელებისა და ს.-რ. წყალობით დიდი არევ-დარევაა. ორატორებს სიტყვის უფლებას არ აძლევენ, დამოკიდებულება თანდათან მწვავდება... აგერ ერთი დაშნაკელი ჩაჯდა ს.-დ. ავტომობილში და იძახის: „სანამ ცოცხალი ვარ, აქედან ვერ ჩამომიყვანთ დაბლაო“ ს.-რევოლიუციონერები და დაშნაკელები ერთად მოქმედებდნენ და ყოველივე საშვალებას მიმართავდნენ ს.-დემ. წინააღმდეგ. ვინ იცის, რითი გათავდებოდა ყოველივე ეს ამბავი...

ამ დროს მოვიდნენ ჩვენები... ტრიბუნაზე ადის ამხ. ევგენი გეგეჭკორი. მის დანახვაზე ყველამ ჩვენს ტრიბუნას მოაშურა—მტერმაც და მოყვარემაც. „გეგეჭკორი ლაპარაკობს, გეგეჭკორი“—გაისმის ხალხში და წესიერება თანდათან მყარდება. ყველას დაავიწყდა კინკლაობა, ყველა მზად არის მოუსმინოს ორატორს. აი, დაიწყო კიდეც ლაპარაკი გეგეჭკორმა. თითო-ოროლა ნაძირალა ცდილობს ხელი შეუშალოს ორატორს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. გეგეჭკორი შეეხო სხვათა შორის ს.-რევ. და აღნიშნა—თუ რისთვის ვიბრძვით ჩვენ საქალაქო არჩევნებში მათ წინააღმდეგ. ლაპარაკობს და ამბობს რომ მოქალაქეობრივი გამბედაობა შესწევდეთ, თვითონ უნდა ამოერიცხათ თავი სახმოსნო სიიდან, როცა მათ წინააღმდეგ სერიოზული ბრალდებებია წამოყენებულია, სთქვა სხვათა შორის ორატორმა. მე ღრმა პატივსა ვსცემ სოც.-რევოლიუციონერების პარტიას, მაგრამ მათი მთელი სიისათვის ხმის მიცემა შეუძლებლათ მიმაჩნია, ვინაიდან ეს მოასწავებდა არღუთინსკისა და ლეჟნევ ავდეევისათვის ნდობის გამოცხადებასო.

ს.-რევოლიუციონერების მხრით ილაპარაკეს თარხანოვმა, მერხალევმა, თუმანოვმა. მათ უპასუხა გეგეჭკორმა, ალ. ლომთათიძემ და ვ. ჯუღელმა. ს.-რევ. თავის სიტყვაში დიდი უცოდინარობა გამოიჩინეს ფაქტებისა და ადგილობრივი პირობებისა. როცა მათ ღირსეული პასუხი გასცეს ს.-დემოკრატებმა და დაწვრილებით გააცნეს დაშნაკელების მოღვაწეობა, რომლებთანაც ს.-რევ. დღეს ერთად ებრძვიან ს.-დემოკრატებს, ს.-რ. ხელმძღვანელები ცოტა ჩაფიქრდენ და იძულებული იყვნენ განეცხადებიათ, რომ ჩვენ არც დაშნაკელები და არც ფედერალისტები სოციალისტებათ არ მიგვაჩნია და თუ ლეჟნევ—ავდეევს დაუმტკიცდა ბრალდება, ჩვენ მათ ჩამოვართმევთ ხმოსნობასო. „მაშინ გვიან იქნება“—გაისმის ხალხში. ეტყობოდა, რომ ს.-რევოლიუციონერებზე გავლენა იქონია ჩვენი ორატორების სიტყვებმა, ახლა ისინი გულდასმით უსმენდენ ს.-დ., რომლებმაც ბევრი ისეთი ილაპარაკეს, რომელიც ალბათ ახალს წარმოადგენდა ს.-რევოლიუციონერებისათვის და ისინიც ინტერესით უსმენდენ. რუს. ს.-რევოლიუციონერებმა იგრძნეს, რომ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც მათ აქეთ წარმოდგენილი ადგილობრივ პირობების არ ცოდნის გამო, რომ ადგილობრივი ს. რ. და დაშნაკელები სულ სხვა ყოფილა, ვინემ ზენზინოვ მერხალევს ეგონა.. ამიტომ იყო, რომ უკანასკნელ ს.-დ. ორატორის სიტყვაზე ს.-რ. არ უპასუხეს, თუმცა რიგი მათ ლიდერ ზენზინოვზე იყო მიმდგარი. დაშნაკელ ჯამალიანს უნდოდა ს.-რ. ტრიბუნიდან პასუხი გაეცა ს. დემოკრატებისათვის, მაგრამ ს-რ. აღარ დაუცადეს მას და მოედანს განშორდნენ...

მიტინგმა—დისკუსიამ ღამის 3 საათამდე გასტანა.

თფილისის არჩევნები.

(საერთო შთაბეჭდილებანი)

კვირა თფილისის ქუჩები და ეზოები არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. მთელი ქალაქი არაჩვეულებრივ მოძრაობაში იყო მთელი კვირის განმავლობაში.

პირველათ ყოვლისა მოსულს თვალში ეცემოდა ქალაქის უცნაური მორთულობა: „პლაკატები“ და განცხადებები. ყველა პარტია, ყველა ჯგუფი ფერად-ფერადი დიდი განცხადებებით ამცნობდა მცხოვრებთ, რომ 30 ივლისისათვის დანიშნულია საქალაქო არჩევნები, დანიშნულია საერთო გენერალური ბრძოლა, იერიში ძველ პლუტოკრატიულ ქალაქის საბჭოზე და სხვადასხვა; ყველა პარტია ფრიადი დიდი პლაკატებით ამცნობდა მცხოვრებთ თავის საარჩევნო ნომერს და მოუწოდებდა მისთვის მიეცა ხმა. ასეთი პარტიები და ჯგუფები კი თორმეტია. ყველანი ყოველ დღეს ცვლიან, ყოველ დღე ახალ ფორმის განცხადებებს და პლაკატებს უშვებენ. და აივსო ქალაქი ფერადი ქაღალდებით ყველა სახლის კედლები, ყველა ბოძი ქუჩაში, ტრამვაის ყველა ვაგონი, ყველა ავტომობილი, ყველა ეტლი და საერთოთ ყველაფერი მორთულია პლაკატებით. ეს პლაკატები სულ უფრო და უფრო იმატებს და უკანასკნელ დღეს ყველაფერს ფარავს. ქალაქი ემსგავსება ფერად ქაღალდების ზღვას და როცა ნაწილი ამ ქაღალდებისა მოძრაობს, ავტომობილ-ტრამვაისა და ეტლების სახით იქით აქეთ ეხლება, ქაღალდის ზღვა ცოცხალ გამოხატულებას ღებულობს, ზღვა ღელავს...

მთელ ქალაქში გამალებული მუშაობაა, ყველა ფაცი-ფუცშია. საარჩევნო ბიუროებში ხალხი ბუზივით ირევა: ვინ საარჩევნო ბარათს ეძებს და მიაქვს, ვინ ხმაურობს, პროტესტს აცხადებს, რომ სიაში გამორჩენილა, ვინ ამა თუ იმ ბიულეტენს კითხულობს და სხვა. ყველანი ჩქარობს, ყველას რაღაც დაგვიანების ეშინია...

ამავე დროს თანდათან მწვავდება საარჩევნო აგიტაცია. ყველგან, საზოგადო საკრებულოებში, თეატრებში, მოედნებზე, ბაღებში და ქუჩებში კრებები და მიტინგებია, ყველგან პარტიათა შორის ხელჩართული ბრძოლაა. და მრავლდება კიდევ და კიდევ მიტინგები, ჩნდება ის უცბათ აქაც, იქაც და ბოლოს მთელი ქალაქი შინ და გარეთ იფინება კალეიდოსკოპურ მინიატიურ მიტინგებითა და კრებებით. ასევე ფართოვდება საგიტაციო ფურცლებისა და ბიულეტენების გავრცელება. სადღაა ფიქრი ქაღალდის სიძვირეზე? კი არ არიგებენ, ისვრიან დასტა-დასტით მაღლა, ხალხის თავზე, რაც იშლება ჰაერში და შემოდგომის ფოთლებივით ფარფატობენ აქეთ-იქით. ძირიდან მათკენ გაწვდილია უთვალავი ხელი და ყურთა სმენის დამხშობი ყიჟინა ბავშვებისა, რომლებიც სულ ქუჩებში გამოსულან, რომლებსაც ჩვეულებრივათ ეს მოვლენაც თავის დღესასწაულათ მიუჩნევიათ.

ყველა პარტია ცდილობს ახალ-ახალი მოიგონოს, რაიმე ახალით მიიქციოს ყურადღება. № 5 ყველაფერში პირველი ნომრიანებს მისდევენ და მეტოქეობას ჩემობენ მესამე და მეოთხე ნომერი. აგერ ქუჩაში რაღაც გრძელი, პლაკატების პროცესია მიდის, რაა ეს ვინაა? რამდენიმე ათეულ კაცს ხელში უჭირავს უზარმაზარი პლაკატები № 1 და ნელა მიიზლაზნება ქუჩაში. მასთან ალაფრფრათ ჩანს მორთულ ავტომობილ-ეტლები მესამე და მეოთხე ნომრებისა, იქიდან შურით გადაჰყურებენ პროცესიას, რასაც აყვარებული ხალხი აღევნება და კიდევ უფრო ადიდებს. მეორე დღეს ყველა ცდილა უკეთესად გამოსვლას, ჩვენ ფედერალისტებსაც კი „ორიგინალობა“ გამოუჩენიათ, დროშებიან—პლაკატებიან ეტლს, რაზედაც „დამა-კავალერიც“ სხედან, სამი ქართველი და უკრაინელი მხედარი გაუძღვებით და მაყურებელს ფორონცოვების ქუჩაში გადის სურათს აგონებენ, მაგრამ პირველი ნომერი ყველას გადფარავს: აგერ ქუჩაში მიიზლაზნება უზარმაზარი საბარგო ავტომობილი, რომელზედაც ამართულია უსახურავო, თავღია ოთახი და რომლის კედლებზედაც დიდრონი ასოები მოუწოდებენ ხმა მიეცით პირველ ნომერსო; შიგნიდან კი ისმის რევოლიუციონური მარში. ეს სახელოსნოს მუშები სამხედრო მუსიკას უკრავენ. მოძრავი ოთახი ყველა მოხდენილ ადგილზე ჩერდება, უცდის ხალხის თავის შეყრას, რომ მერე მოწოდებები გადმოაბნიოს, რომ აგიტატორი ალაპარაკოს. ავტომობილის იქით-აქეთ ქუჩაში ასობით მოდის მუშები დიდი წითელი ნომრებით გულზე (№ 1) ესენი მუშა აგიტატორებია, მუშაობას მოარჩენილან და ქუჩაში გამოსულან.

შაბათ ღამეს ამ მოძრავ ოთახს თან ახლავს მეორე მოძრავი ოთახი უფრო დაბალი კედლებით, სადაც სახელოსნოს მუშათა მგალობელთა გუნდი მოთავსებულია და საიდანაც რევოლიუციონური სიმღერები აყრუებს ქუჩებს. ახლავს სხვა ავტომობილებიც და ასე უცხო სანახაობა დადის ქუჩაში, მაგრამ ეს სანახაობა საკვირველებათ იცვლება დაღამებისთანავე: ზოგ ავტომობილზე თათრულ კარავით დგმული წითელი მიტკლის ყუთი შიგნიდან განათდება და უცხოთ გაჩირაღდნდება, ხოლო დიდ ავტომობილზე მუშები ანთებენ ჯოხებზე გაკეთებულ ჩირაღდნებს და მიდის პროცესია რაღაც უცხო დღესასწაულებრივი, და მისდევს ხალხი ყურით და „გაუმარჯოს პირველ ნომერს!“, და მოაცილებს მას ბავშვების ცოცხალი ყიჟინა. და მოცვივა ავტომობილებიდან მფრინავი ფურცლები...

მაგრამ ნამდვილ მუშების გამოგონებას საზღვარი არ უჩანს: არჩევნების დღეს მათ ამ პროცესიას მიუმატეს კიდევ ერთი დიდი საბარგო ავტომობილი, რომელზედაც სამჭედლო მოეწყოთ და ასე ქუჩაში ყველა ხედავდა თუ როგორ მუშაობენ მუშები სიცხეში დამკლავებული, როგორ სჭედენ ისინი ბედნიერებას სხვისთვის, მაგრამ როგორ იმუქრებიან, რომ აწი ამ ბედნიერებას თავისთვის გასჭედენ, ხოლო მტრისათვის კი რისხვას...

მიტინგები და აგიტაცია კი თავის მხრით თავის საქმეს აკეთებს. ყველანი ურთიერთს ებრძვიან მაგრამ ყველანი კი პირველ ნომერს. განსაკუთრებით ძლიერ დაფრთხობია მესამე და მეოთხე ნომერს, სადაც თავი შეუფარებია ძველ ბატონებსაც. მათ მოსვენებას არ აძლევს პირველი ნომერი, მისი ასე პოპულარობა. აქედან კამათის გაწვავება, არასაკადრისი საქციელიც..

და არის ყველგან სიცოცხლე, ყველგან აგიტაცია, ყველგან თავისუფალი ბრძოლა. დაქრივართ ავტომობილებით, ეცემით თავზე აქა თუ იქ.

მაგონდება 1911 წელი, მაშინ ვერც კი მოვასწრით გამოქვეყნება სახმოსნო სიისა, პროვოკატორების საშუალებით ის ჟამს გაიგეს და მოხსნეს ამხანაგები, ჩხენკელი, გეგუა და სხვები და გაგზავნეს როსტოვში, დაგვფანტეს იქით-აქეთ. მაგონდება 1912 წელიც, მეოთხე დუმის არჩევნები! დღეში ორჯერ ვიცვლიდით სახეს, ტანისამოსს. ხან წვერიანი, ხან უწვერომ, მაგრამ ბოლოს მაინც ჩავარდით ბევრი. ჯაშუშების ხროვას გაუძვერი და სახლის პატრონმა დამიჭირა! დღეს ამ სახლის პატრონს დაშნაკელების პლაკატი გამოუკიდებია, სოციალიზმს ვაშას უძახის, ამხანაგათ გვიხდომია! მაშ, აღარ დამალმენს, მეეზოვეებს აღარ გამომაკიდებს, პოლიციელებს აღარ გამოიწვევს...

მახლას!

ვერცხლის წყალი.

პარტიული კინკლაობა.

არჩევნების დროს ყველაზე უფრო ხელსაყრელი საქმე ადგილობრივმა სოციალისტ-რევოლიუციონერებმა იშოვნეს—ეს ის საარჩევნო კინკლაობა იყო, რომელსაც ისინი ასე „წარმატებით“ აწარმოებდნენ.

რაშია საქმე?

საადგილმამულო კომისიაში სოციალისტ-რევოლიუციონერებმა ცნობილი ავდეევის კანდიდატურა წამოაყენეს და როცა ამხ. ალ. ლომთათიძემ ეს კანდიდატურა მოხსნა, როგორც არა სასურველი, როგორც ჩირქმოცხებული პიროვნება და ჯერ კიდევ გაუწმენდელი, სოციალისტ-რევოლიუციონერების ხმაურობას და პროტესტებს საზღვარი არ აქვს.

როგორ გაბედეთ და ჩვენი ამხანაგი ავდეევი „საეჭვოთა რიცხვში“ მოათავსეთო. სრუ-

ლიანდაც არ იძლევიან პასუხს თუ როგორ გაშვდეს მათ ამ მართლა საეჭვო პიროვნების კანდიდატით წამოყენება.

ჩვენში კარგათ ცნობილი რამდენიმე ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწენი ავდევს ბრალსა სდებენ, მათ წინაშე ამ კაცს თავი ვერ გაუმართლებია, სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტია კი, ალ. ლომთათიძეს ჩასჩიჩინებს, ფორმულიროვკა გაუკეთე თქვენს მიერ წამოყენებულ ბრალდებასო. ამ საქმის შესახებ ამას წინეთ ჩვენს მკითხველებს გავაცანით როგორც სოციალისტ-რევოლიუციონერების შეკითხვა, ისე ალ. ლომთათიძის პასუხი. ამით როგორც სჩანს, არ დაკმაყოფილებულან სოციალისტ რევოლიუციონერები და კიდევ მიუწერიათ წერილი ალექ. ლომთათიძისათვის; ალ. ლომთათიძე მათ შემდეგ პასუხს აძლევს: „ამხანაგებო! მივიღე თქვენი მეორე წერილი, სადაც თქვენ მოითხოვთ ჩემგან, რათაც არ უნდა დამიჯდეს, ავდევის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი დავამტკიცო. ამის შესახებ მე იგივე შემიძლია გაგიმეორო, რაც პირველ წერილში მოგახსენეთ. რაც მაშინ ვსთქვი, ახლა იმას აღარ გავიმეორებ, მხოლოდ ერთს შევნიშნავ: ვსთხოვ მოქალაქეთ გ. დიასამიძეს, ალიბეგოვს, ქვთარაძეს, გოგოლაშვილს და აგრეთვე ყველა იმათ, ვინც პირველ პასუხში არ მოიხსენიება, მაგრამ რომელთაც შეუძლიათ ამ საქმეს ჭეშმარიტების სხივები მოჰფინონ, აღასრულონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი და სთქვან ყოველივე სიმართლე, რაც მათ იციან ბატონ ავდევის როგორც ჟურნალისტის, აგრეთვე საზოგადო მოღვაწეობის შესახებ.

იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი განცხადება საკმარისი იქნება როგორც თფილისის სოც.-რევოლიუციონერთა კომიტეტის, აგრეთვე ყველა იმ პირთა დასაკმაყოფილებლათ, რომელთაც ავდევის საქმე აინტერესებთ.

აი ეს არის ჩემი მეორე და უკანასკნელი პასუხი, ამხანაგო სოციალისტ-რევოლიუციონერებო, ბრალდებათა ფორმულიროვკის შესახებ! რაც შეეხება ჩემს უკანასკნელ სიტყვას ამ საქმის შესახებ, უფლებას ვიტოვებ ვსთქვა იმის შემდეგ, როცა ზემოთ ჩამოთვლილი პირნი თავიანთ აზრებს გამოსთქვამენ. ამხანაგური სალამით ალ. ლომთათიძე".

არა გვგონია ასე ადვილათ „შეელიონ" სოციალისტ რევოლიუციონერები ამ ხელსაყრელ—საჯიბრო საქმეს.

მესამე შეკითხვა, ალბათ, მზათ აქვთ!..

მაგრამ ახლა საქმეში ჩაერია გაზეთი „ბორბა". როგორც ადგილობრივი გაზეთები სწერენ მაშათს, არღუთინსკის, ლებედევს და სხ., რომელთა წინააღმდეგაც წერილები იყო მოთავსებული ამ გაზეთში, სამედიატორო სასამართლოში იწვევენ „ბორბის" რედაქციას: ამის შესახებ კვირის ნომერში „ბორბა" სწერს. „მეტის-მეტი კმაყოფილებით წავიკითხეთ, რომ ფ. ნ. ლებედევი და ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ჩვენ სამედიატორო სასამართლოში გვიწვევენ. დაბოლოს, პატრიოტული ამოძახილის ნაცვლათ ჩვენ საქმე გვექნება რეალურ ფაქტებთან, ჩვენ შეძლება მოგვეცემა გამოვარკვიოთ პოლიტიკური ფიზიონომია სოციალისტ-რევოლიუციონერების წარმომადგენლების ფ. ნ. ლებედევისა და ა. მ. არღუთინსკისა. დიდ დემოკრატიამ გაგვასამართლოს ჩვენ! დიდ გაიგოს ქვეყანამ, ვინ არის ჩვენს შორის მართალი და ვინ მტყუანი. თანახმა ვართ სამედიატორო სასამართლოსი და მოუთმენლად ველით ლებედევის და არღუთინსკის წარმომადგენლებს. სარედაქციო კოლეგიის ნახვა შეიძლება რედაქციის ბინაზე ყოველდღე დილის 9 ს.—1 ს. წერილს ხელს აწერს „ბორბას" სარედაქციო კოლეგია.

აქ, როგორც ხედავთ, არაფერი არ არის ნათქვამი მ. ავდევზე, მაგრამ გაზეთ „ბორბა"-შივე „იმათ შესახებ" სწერენ: „თუ ის ე. ი. არღუთინსკი, სოციალისტ-რევოლიუციონერებში კომპრომეტაციის საშუალებით მოხვდა, ეს მიეწერება მისი მეგობრის მ. ავდევის თავგამოდებულ ცდას" ასე რომ, სადაც გაირჩევა არღუთინსკის და ლებედევის საქმე, იქ ავდევის საქმეც უნდა გაირჩეს.

სამნი არიან!

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენცია.

რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა დროებითი ცენტრალური საბჭო.

1) სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მესამე კონფერენცია აარსებს დროებით ცენტრალურ საბჭოს, რომელიც რჩება თავის ადგილზე პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის მოწვევამდე და თავის მოქმედების ანგარიშს უდგენს ყრილობას.

2) მუშაობის დროს დროებითი ცენტრალური საბჭო ხელმძღვანელობს მესამე კონფერენციის დადგენილებებით და ისახავს შემდეგ მიზნებს:

ა) კავშირი გააბას რუსეთში არსებულ ყველა ადგილობრივ, საოლქო ან ცენტრალურ როგორც ძველ, ისე ახალ დაარსებულ კავშირებთან.

ბ) ხელს შეუწყობს საოლქო კავშირების დაარსებას და აგრეთვე სხვადასხვა კავშირების შრომის დარგთა მიხედვით გაერთიანებას და აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა [illegible] გაერთიანებას.

გ) უნდა გააბას კავშირი ყველა ქვეყნების პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ ორგანოებთან.

დ) აარსებს ყოველგვარ აუცილებელ სამუშაოს; რომელთაც კავშირი ექნება სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის მოწვევასთან. იმუშავებს ყრილობის პროგრამას, მოხსენებებს და გაზეთებში აცხადებს მოხსენებათა დებულებებს.

ე) პეტროგრადის და მოსკოვის პროფესიონალური კავშირების და აგრეთვე ცენტრალური კავშირების გამგეობებთან შეთანხმებით საზღვრავს ყრილობის მოწვევის დღეს.

ვ) პერიოდულათ აქვეყნებს გაზეთებში თავისი მოქმედების ანგარიშს.

ზ) სცემს საკუთარ გაზეთს, რისთვისაც ირჩევს საგანგებოთ სარედაქციო კომისიას.

3) სანამ ყრილობა ცენტრალურ საბჭოს აირჩევდეს დროებითი საბჭო დახმარებას უწევს კავშირებს საორგანიზაციო, საგიტაციო და კულტურულ განმანათლებელ მუშაობის საქმეში,

რისთვისაც

ა) პროფესიონალურ კავშირთა ინტერესებს იცავს როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ცენტრალურ დაწესებულებებში,

ბ) აწყობს რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ სასტატისტიკო ბიუროს

გ) გამოსცემს ყოველგვარ საგარაუდო წესდებებს, ინსტრუქციებს, საანკეტო ფურცლებს და სხ.

4) დროებითი კავშირის ნივთიერი საშუალება შესდგება იმ ფულებიდან, რომელსაც შეიტანენ ცენტრალურ საბჭოში შეერთებული კავშირები. თითოეულ გადასახდელ წევრზე თვიურათ შეაქვთ 2 კაპეიკი.

5) დროებითი საბჭო შესდგება 35 პირისაგან, რომელთაც ირჩევს კონფერენცია. ამათგან 15 კაცი ცხოვრობს პეტროგრადში, 5 მოსკოვში და 15 კაცი პროვინციაში. ცენტრალური საბჭო ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის წევრები პეტროგრადში და მოსკოვში ცხოვრობენ. აღმასრულებელი კომიტეტი პერიოდულათ იწვევს ცენტრალურ საბჭოს კრებებს. დროებით საბჭოში არჩეულ იქნენ:

პეტროგრადიდან: ბატურსკი, ბაშევსკი, გოლკოვი, ნ. გ[illegible]ვი, გლებოვი, გოფანსკი, კამერმახერი (კაფელი), კოლცოვი, ლოზოვსკი, მაგიდოვი, რუბცოვი, რიაზანოვი, შლიაპნიკოვი, შმიდტი და ფედოროვი. **მოსკოვიდან:** ბახუტოვი, გრინევიჩი, კაბაროვი, სახაროვი და ჩისტოვი. **ივანოვო ვოზნესენსკიდან:** სადკინი. **ხარკოვიდან:** კოლცმანი, **ნ. ნოვგოროდიდან**—ზაპეტროვ-გრადსკი, კოზლოვი, პავლოვი. **სარატოვიდან**—მგელაძე, **ბაქოიდან**—მინცი, **ოდესიდან**—იზილი, **ეკატერინოსლავიდან**—რაბინოვიჩი, **ურალიდან**—რომენსკი, ტიხომიროვი და სუვოროვი, **კიევიდან**—სლუცკი, **ვორონეჟიდან**—ტიტრიჩუკოვი, **თფილისიდან**—ხელაძე და **კოლუმნიდან**—ჩირკინი.

პროვინციის ცხოვრება.

ქირმანშახი (პარსეთი). 1917 წლის 21 ივნისს კირმანშახის ოფიცერთა და სალდათთა კომიტეტმა გამართა მიტინგი. მიტინგი დაიწყო სამის 6 საათზე, აუარებელი ჯარისკაცი მოაწყვა დროშებით, მარსელიოზის სიმღერით და მუსიკით. მოვიდენ ქართველ ცხენოსანთა რაზმის ჯარისკაცები დროშით და მარსელიოზის სიმღერით. გახსნა მიტინგი: ილაპარაკა მიროხლენკომ, რომელმაც შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. ის შეეხო, თუ რატომ ეწინააღმდეგება ჩვენ მეზობელ სპარსელებს. რატომ ვერთმევთ სარჩო-საბადებელს, რატომ ვეწიოკებით მათ და სხ. სირცხვილი ჩვენ, რომ თავისუფალი მოქალაქენი ჩვენ განა იმიტომ ვართ აქ, რომ მშვიდობიანი მცხოვრებლებს ვძარცვთ, ვძარცვით თუ სამშობლოს დასაცავათ ვიმყოფებით აქო. მართალია ქურდები თავს გვესხმიან, გვაწუხებენ, მაგრამ განა ზოგიერთი ჩვენების მოქმედება ხელს არ უწყობს ამ ძარცვლებსო? სხვის სახლში ვიმყოფებით სტუმრათ და რა უფლება გვაქვს სხვის საკუთრებას დავეპატრონოთ. ეს ნაკლოვანება მეორის და მის მოძმეთა ხელობაა, რაც თავისუფალ მოქალაქეს არ შეეფერებისო. ნუ ვიქნებით ასეთებიო. მიტინგმა ერთხმათ იგრძნო: გაძლევთ სიტყვას აქეთ შემოხვევებს ჩვენში ადგილი აღარ ექნებაო. გაუმარჯოს სპარსეთს და მის დემოკრატიასო, დაათავა ორატორმა.

მეორე ორატორი შეეხო სოციალდემოკრატიის პროგრამას და ჩვენს ყოფა-ქცევას სპარსეთში. მიტინგზე მოვიდენ სპარსელები წითელი დროშებით. ჩვენმა ჯარისკაცებმა ურას ძახილით მიიღეს ისინი. სპარსელმა სოციალდემოკრატებმა ილაპარაკეს სპარსულათ. თარჯიმანი რუსულათ გვითარგმნიდა. გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მან. „ამხანაგებო! გვიშველეთ და დაგვიხსენით მონობისაგან და ჩვენც სიკვდილამდე თქვენი მეგობრები ვიქნებითო". დაბოლოს მათ შესძახეს სპარსულათ: ძირს ჩვენი მეფე, ძირს ხანები.

ჯარისკაცი პ. ფრანგიშვილი.

სამ. საჯავახო. 1901 წლიდგან საჯავახოში არსებობს „ამაშის" შემნახველი გამსესხებელი ამხანაგობა". პირველ ხანებში, როცა გამგეობაში მსახურობდა თვით ინიციატორი და დამაარსებელი ამხანაგობის—ერმილე კუბლაშვილი, საქმე კარგათ მიდიოდა და ხალხიც დიდი თანაგრძნობით ეპყრობოდა ასეთ ეს ეკონომიურ კულტურულ დაწესებულებას. და მალე წევრებთა რიცხვი 250-მდე მიაღწია. მაგრამ, როცა ხსენებული [illegible]ბელი ამ ამხანაგობის სამსახურში შევიდა და საქმეს ჩამოშორდა, ბანკის საქმეებიც აიწეწ-დაიწეწა. გამგეობამ წესდება უყურადღებოთ დასტოვა. ყოველივე საქმის წარმოება წევრებისგან მიენდო ერთ პიროვნებას სტეფანე თარგამაძეს, რომელიც თავისებურად აწარმოებს ამხანაგობის საქმეებს. სესხი გაეცა ძმა-კაცობით და ისეთ პირებზე, რომლებიც 8—9 წლის განმავლობაში არც ფიქრობენ ვალის გასტუმრებას. მშრომელი ხალხის უმრავლესობა, რომელსაც ფული ესაჭიროებოდა, უყურადღებოთ დასტოვა ბანკის გამგეობამ. ამას მოჰყვა ამხანაგობისადმი გულგრილობა და ირასამდე წევრი უკვე გავიდა ამხანაგობიდგან,—დღეს მხოლოდ 50-მდე წევრები დარჩენილან.

ამ სახით წევრები ამხანაგობის ლიკვიდაციას თვითვე ახდენენ. დარჩენილ წევრების უმრავლესობას ორი ათას მანეთზე მეტი სესხი აქვს წაღებული და მოტანას აღარ ფიქრობენ. იმათ გამგეობაც ხელს უწყობს თავის უმოქმედობით. მესამე წელია რაც გამგეობას წლიური ანგარიში არ მოუხდენია. ზოგიერთები ამბობენ,—გამგეობამ იმიტომ არ მოახდინა საზოგადო კრება, რომ ფულები „შემოეჭამათ"-ო. ადგილობრივ საზოგადოების კომიტეტმა ყურადღება მიაქცია ხსენებულ ამხანაგობის უწესოებას და გამგეობას [illegible] ანგარიში მოსთხოვა. გამგეობამაც 23 ივლისისათვის, როგორც იყო, საზოგადო კრება მოიწვია. მდგომარეობა ასეთია, რომ ბანკის სრული ლიკვიდაცია აუცილებელი ხდება. ბანკს აქვს 600 მანეთზე მეტი სათადარიგო თანხა და საწევრო 2000 მანეთამდე.

„თეხუ-კაფი."

სამახსოვრო საღამო

([illegible]).

22 ივლისის ღამე ქუთაისში სამახსოვრო ღამეთ ჩაითვლება. დიდხანს არ დაავიწყდებათ ამ ღამის ადგილობრივ საკრებულოში დამსწრეთ ეს ღამე. ამ დროს აქ გაიმართა სალონ-მეჯლისი ს. დ. ორგანიზაციის საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ.

საღამო საკმაოდ შინაარსიანი იყო როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ყმაწვილთათვისაც, რომელთა [illegible] სადღესასწაულო [illegible] ლამის ათ საათამდე შეუერთდა [illegible] მახლობლათ [illegible] ტყეში დამალულ ფერიებთან; ყველაზე უფრო სიამოვნებას აქ საღამოზე საღამოს მასპინძელი ქალები და ვაჟები გვრიდენ მნახველს თავიანთი ტკბილი, მკვირცხლი და დაუღალავი მუშაობით.

ჯერ კიდევ დილიდანვე შეიქნა ფაცი-ფუცი საკრებულოს ეზოში. აგერ ერთი ჯგუფი დილის დაკვირვებით და სერიოზულათ კიოსკებს აშენებს, კიოსკებს კაზმავს, დეკორაციებს ულოლიავებს; აი იქით მაგიდებს აწყობენ და ჩაისა და ხილეულის მასალა—„პრიბორებს" ამზადებენ, აგერ [illegible] რიგდებიან კიოსკებს და სხვა ადგილებს, აი მეორე ჯგუფმაც ეხლა სხვადასხვა კუთხეში ელექტრონი გაუყვანა [illegible], აგერ შესავალში წითელ პლაკატს აკრავენ—პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო! საბაზრეულოში კიდევ ტივი არის, გოჭ-ქათმებს ფქვავენ, თევზეულობას ხარშავენ, ვახშმისათვის ემზადებიან და ყველას სახეზე ეთქმის და იმავეს წაიკითხავთ: „საქმე სერიოზულია, ეს ქორწილი კი არა, პოლიტიკური საღამოა. ეს საღამოა, სადაც ჩვენ ერთ გაერთიანებით ერთად რევოლიუციის დარაჯებს იარაღი უნდა გავუჭედოთ".

ამავე დროს დიდი მზადებაა სამოქალაქო შკოლის ეზოში, სადაც თავს იყრიან ბავშვები და სადაც მათ უმზადებენ სიურპრიზებს. საათის 6 ყველა ბავშვი წითელი პატარა დროშებით ხელში ერთი ადგილისკენ იხვევა, აქ მაღლა [illegible] მწვანით მორთულ „ფანტრევს", რაზედაც ხელ გაწვდილი პატარა ანგელოზი ზის. გაისმის ბავშვების ყიჟინა და სამხედრო მუსიკის მარში. პროცესია დაიძვრის და აქ დილებული სანახაობით გაივლის ქალაქს, მივა საკრებულოში. აქ ისინი ერთიანად გადიფშვებიან სათამაშოებში. ბავშვები ცელქობენ, დროებას არ აცლიან, უშვებენ ბაზრებს. ისინი დარბიან ერთი კუთხიდან მეორეში, აყრიან ერთი მეორეს კანფეტებს, ნაირ-ნაირ თავისებურ თამაშობას, უკითხავენ ურთიერთს ლექსებს და როცა მუსიკა მოუწოდებთ ისინი დედოფლებსავით ატყობენ პატარა ფეხებს.

რა მშვენიერია, რა ლამაზი სანახავია მათი თავყრილობა, მათი უდარდელი პატარა სახეები, მათი უმანკოება, მათი გულღია და პირუთვნელი ტიტინი, მათი გულუბრყვილობა.

საკრებულო უკვე თანდათან ივსება მოზრდილებით. ახალგაზრდა მომუშავენი ატუსკდებიან, ბალში გვირჩეს, კუთხიდან კუთხეში დახტიან. სტუმრებს აწოდებენ ბარათებს, კამფეტებს, იწვევენ თავიანთ კიოსკებისკენ. აგერ სცენაც გახსნა. დეკლარაცია, სცენები თავდება გოგიას კუპლეტებით „ვაი ვეის" ხმაზე, რაც შეიცავს ადგილობრივ საპირ-ბოროტო კითხვებზე ხუმრობას და რასაც აღტაცებაში მოჰყავს მსმენელნი. იქ ზალაში უკრავენ სკრიპკაზე და პიანინოზე, უკრავს სიმებიანი ორკესტრი სათამაშოებს, ცეკვავენ, ცეკვაუყრიან...

პირველ საათზე ვახშამიც დაიწყო. გზო სრულიად მოიცვა სუფრებით. გარს შემოუსხდნენ სტუმრები და თავს დასტრიალებენ სიამაყით აღჭურვებულნი ქალ-ვაჟნი. ფიქრობენ, კი არ დღობენ; გალობენ კი არ ლაპარაკობენ, ცეცხლს ისვრიან, კი არ ამზადებიან.

გაიმართა პოლიტიკური სადღეგრძელოები, ყველა სადღეგრძელოს შეიფერი მუსიკა ახ-რულებს. ხშირად მარსელიოზა, ხშირად მრავალჟამიერ, უკრავენ „მსხვერპლად დაეცით"-საც. აღნიშნავენ საღამოს სიმპატიურ მიზანს, ურომლისოდაც ქეიფი და დროს ტარება დასაშვები არაა მაშინ, როცა ფრონტი გარღვეულია, როცა რევოლიუცია საფრთხეშია. ყველაფერი რევოლიუციის სახსენებლად.

ვახშამი და ცეკვა-გართობა გაგრძელდა დილის 7 საათამდე. ზოგი სუფრა 10 საათამდეც არ აშლილა. ჩვენი ქალები კი მაინც არ შედრკენ, დაღალულობა არ შეიმჩნიეს. ვაშა მათ ენერგიას, ვაშა მათ სიყვარულს საერთო საქმისადმი!

ჩვენ ქალ-ვაჟთა ენერგიულმა აღფრთოვანებამ თავისი უხვი ნაყოფიც გამოიღო: მიუხედავათ იმისა, რომ ეხლა ზაფხულია და ბევრი ხალხი ქუთაისიდან წასულია, მიუხედავათ იმისა, რომ სულ ახლოხან რამდენიმე საღამოები იყო, მათმა შრომამ საკმაოდ დიდ საზოგადოებას მოუყარა თავი და საღამომ 5000 მანეთზე მეტი წმინდა შემოსავალი დატოვა. მართალია, ეს დიდათ დამოკიდებულია პარტიის დიდ გავლენაზე, მაგრამ უმთავრესი სიკეთე მაინც მომუშავეთა და ხელმძღვანელთა აღფრთოვანებულ ენერგიას უნდა მიეწეროს,

კიდევ ვაშა!

ვერცხლისწყალი.

ქვემო სვანეთი. ვისაც ქვემო სვანეთში უვლია, უეჭველია შეუნიშნავდა, რომ ამ მხარეში ფეოდალურ წესწყობილებას ჯერ კიდევ გასავალი აქვს. ამიტომ ამ ბოლო დროს, ამ თავისუფლებას აქ უფრო მშრომელი ხალხი მეტის აღტაცებით უნდა შეხვედროდა შედარებით. მაგრამ სინამდვილე სხვას გვიჩვენებს. ამის მიზეზი არის ის ბნელი ძალები, რომლებითაც მდიდარია ეს მხარე. ეს ვაჟბატონები ცდილობენ ეხლა დაუბრუნონ ხალხს რევოლიუციის გამარჯვებაში და უთითებენ 1905 წელზე, როცა რევოლიუცია ხანმოკლე გამოდგა. აღსანიშნავია არის. ა. რაზმაძის და თ. პელიძის დაუღალავი შრომა ამ მხარეში. ამ დღეებში მათ მოიარეს მთელი ეს მხარე და მოახდინეს ყველგან კრებები. ლენტეხის საზოგადოებაში 9 ივლისს, ჩოლურისაში 10 ს. ხოლო ლაშხეთის საზოგადოებაში 12 ამ თვეს. განსაკუთრებით საყურადღებო იყო კრება ლაშხეთის საზოგადოებაში. 11 ივლისს, ლაშხეთის საზოგადოების საზღვარზე წინ მოეგებნენ ამ საზოგადოების რამდენიმე ახალგაზრდანი 1905 წელში შეკერილი წითელი დროშით. შეიარაღებული ახალგაზრდანი მარსელიოზის და სხვა სარევოლიუციო სიმღერებით გაგვიძღვნენ აგარაკ „მუაშისკენ", სადაც სახელგანთქმული სამკურნალო წყლებია და სადაც ზაფხულობით სხვადასხვა კუთხიდან ხალხი მოდის. ორი-სამი საათის აქ შეჩერების შემდეგ იმავე ახალგაზრდა რევოლიუციონერების წინამძღოლობით გავემართეთ სოფ. ჯახუნდერისკენ, კანცელარიაზე 12 ივლისს აქ დიდძალმა ხალხმა—ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. კრება გახსნა კანცელარიის მაზრის [illegible] ცაცხვის ძემ. თავჯდომარეთ არჩეულ იქნა ადგილობრივი მცხოვრები, რომანოზ ონიანი.

სამივე საზოგადოებაში მიტინგებზე აღნიშნული იქნა ორატორებისაგან ბატონ-ყმობის გაჩენა, თვითმპყრობელობის უსამართლობა, ამათი სამუდამოთ დამხობა და ბრძოლით მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნება. კრებას ყველგან [illegible] ყველა ის რეზოლიუციები, რომლებიც გამოტანილ იქნა საერთო ყრილობაზე თფილისში. სამივე საზოგადოებაში შესდგა ოქმი კოოპერატივის მოწყობის და საკრედიტო ამხანაგობის (ბანკის) დაარსების შესახებ და დაარსდა კომისია. აგრეთვე მოეწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. დასასრულ თითეულ საზოგადოების ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები: 1) ვინაიდან ომმა ასეთი სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ ჩვენ 3 ყოვლად სასურველია, ტეხნიკური და ცოცხალი ძალები, ამიტომ მოვითხოვთ, რაც შეიძლება დაჩქარებით ზავს, რადგანაც ზავი, რომელიც უნდა დაიდოს იგი, მაინც მეტს სარგებლობას მოუტანს თავისუფალ რუსეთს, ვინემ ომის გაგრძელება; 2) გაეგზავნოს მისალმება დეპეშით ქ. თფილისში ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა (ცენტრალურ საბჭოს); 3) გაეგზავნოს რაჭა-ლეჩხუმის კომიტეტს თფილისში მადლობა ნაყოფიერ შრომისათვის.

რესპუბლიკაშვილი.

გამოცემანი
ბათუმის კომიტეტისა რ. ს.-დ. მ. პ.

გამოვიდა რუსულ ენაზე:
1) საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე—საპკოვის რედაქციით 15 კ.
2) რას იძლევა დემოკრატ. რესპ. ა. მ. 10 „
3) რას აძლევს მუშებს ცხოვრება—ვოლოგდინის 15 „
4) მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა—ბ. სამოილოვის 10 „
5) რა არის მუშათა პარტია—ს. მიხაილოვიჩის 10 „
5) როგორ უნდა მოიპოვონ გლეხებმა მიწა?—პ. მასლოვის 25 „
7) ვინ რით ცხოვრობს—დიკშტეინის 25 „
8) მუშათა მიზანი რევოლიუციაში—ა. ბოგდანოვის 20 „
9) შრომა და კაპიტალი—სვიდერსკის 35 „
10) ძირს სოციალ-დემოკრ.—ნ. ბრაკესი 10 „
11) ობობა და ბუზი—ვ. ლიბკნეხტის 10 „
12) სოც.-დემოკ. მიზანი—ა. ბებელის 10 „
13) რა უნდა ვუქნათ მიწას? პ. მასლოვის 15 „
14) კლასი კლასის წინააღმდეგ—ლ. მარტოვის 15 „
15) ს. დ. პროგრამა რუსულ, ქართულ, ბერძნულ, სომხურ და თათრულ ენებზე 10 „
16) მუნიციპალური პლატფ. რ. ს.-დ. მ. პ. 10 „

ქართულ ენაზე:
1) ჩვენი მიზანი—ვ. ლიბკნეხტისა 35 „
2) რა აზრის არიან სოც.-დემ. და სოც.-რევ. მიწის შესახებ ტ. დირევენსკის და რა უნდა ვუქნათ მიწას—პ. მასლოვის 30 „
3) მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა—სამოილოვის 20 „
4) კლასი კლასის წინააღმდეგ—ლ. მარტოვის 15 „
5) ოთხი ძმა 30 „
6) მუნიციპალური პლატფორმა ს.-დ. 15 „

იბეჭდება რუსულ ენაზე:
1) რა აზრის არიან ს.-დ. და ს.-რ. მიწის შესახებ დირევენსკისა 20 „
2) და რა უნდათ ს.-დემ. ვ. ლევიცკის 20 „

არის აგრეთვე გასაყიდლათ, ქართ. ენაზე:
1) სოც.-დემოკრატია, დემოკრატია და სოც.-დემ. და სოც.-რევოლიუციონერები—ნოე ჟორდანიასი. 30 „
2) სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა 20 „
3) რა არის დამფუძნებელი კრება—ვ. სერგენიკოვის 25 „
4) კომუნისტური მანიფესტი (რუსულ ენაზე)— 20 „

გამოწერა შეიძლება შემდეგი ადრესით: Батумъ, Морская № 3, (бывшій д. губернатора) бюро соц.-дем.

ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 50 ც. დაეთმობათ 20%.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზმაძის ქუჩა, № 19.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანის ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, №

ექიმი ვ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სხიოშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ჰყიდი
ჭილოფებს
ხელსაქმურ ფაბრიკაში.
(დამზადებული მაქვს 2000 ცალამდე ზომით 2—3 არშინ).
დაკვეთა შეიძლება ასობით და ათასობითაც. ფასებზე მოლაპარაკება პირადათ და წერილობით შემდეგი ადრესით: Ст. Ланчхуты, сел. Чибати Маркову Патарайя.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ
„სოციალ-დემოკრატ"-ზე
გაზეთის ფასი: მთელი წლით—15 მ. ნ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით—4 მ. 20 კ., 1 თვით—1 მ 40 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.
ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Кутаисъ, редакція „Соціал-демократъ", Тутку Гварамія. სხვა ადრესით გამოგზავნ. ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქ. თფილისში, ოლღის ქ. № 6, ს.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება"-ში
იყიდება უმთავრესი ქართული წიგნები, რომლებიც გაეგზავნება მსურველთ ფული გადმოგზავნისთანავე.
[illegible] აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „ერთობა", „ბორბა", „ქვეყ. რაზმი", „[illegible]", „[illegible]", „[illegible]", „[illegible]", „მაიკერი", და ყველა ახალი გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

სოციალ-დემოკრატიული სტამბა რუსეთის [illegible] № 1.